რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 25 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—60 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 19 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 19

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

# „ერთობა"-ზე

## ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ლანჩხუთის რაიონული კოლექტივი რ. ს. დ. მ. პ. მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ხუთ იანვარს ამ წლისა პეტროგრადში მოკლულ ამხანაგ

### ალექსანდრე მიხეილის ძე ცინცაძის

ხსოვნის აღსანიშნავად ქ. ლანჩხუთში კვირას 21 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი. (1—1)

უსაზღვრო მწუხარებით [illegible] დავითის ძე [illegible] მეუღლე [illegible]

### დარო მაჯიძე [illegible]

[illegible] წირვა და პანაშვიდი [illegible] 26 იანვარს. [illegible] დილის 12 საათზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე [illegible]

### მარგარიტა იოანეს ასული სოსელიასი

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 26 იანვარს. [illegible] დილის 6 საათზე საღამოთი. (3—2)

ღრმად დამწუხრებულნი ბიძაშვილები: [illegible]

### მარგარიტა იოანეს ასული სოსელიასი

გარდაცვალებას. (3—2)

### ახალ მევენახეთა საზოგადოება „ბახვითი"-ის

გამგეობა აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 1 თებერვალს ქ. თელავში, საღამოს 7 საათზე დანიშნულია

### წევრთა საერთო კრება

განსახილველი:

1) წევრთა სიის გადასინჯვა წესდების მე-17 და მე-21 მ. მიხედვით.
2) განხილვა და დამტკიცება 1916—17 წ. ანგარიშისა და მოხსენებისა გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
3) განხილვა და დამტკიცება 1917—18 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.
4) არჩევნები. [illegible]
5) [illegible]

[illegible] (1—1)

### პური

23 იანვრიდან ყველა უბნის სასურსათო [illegible]

[illegible] (3—2)

სამკურნალო კაბინეტი ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

### კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

### დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებზა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

### ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ქართული კლუბი

ხუთშაბათს 25 იანვარს

ქართველ მსახიობთა კავშირი მართავს თავის

## პირველ საღამოს

მოწყობილი იქნება მრავალი გასართობები სცენასა და დარბაზებში.

ვ. აბაშიძე. საზოგადოებას უჩვენებს ქართვ. მსახიობის მომავალს.
ვ. გუნია. ერთგვარ წამალს შესთავაზებს.
ე. ჩერქეზიშვილი. ბედსა სწევს.

და სხვა ყველა მსახიობნი ეცდებიან საღამოზე დამსწრეთა პატივისცემას, სამსახურსა და

### ჯიბის შეთხელებას

შესრულებული იქნება ხოროთი და ორკესტრით მუსიკალური სურათი მელიტონ ბალანჩივაძისა მისივე ხელმძღვანელობით. მონაწილეობას ღებულობს ქ-ნი შულგინა. აგრეთვე გამართული იქნება

### საკონცერტო განყოფილება

საუკეთესო ძალთა მონაწილეობით და შესრულებული იქნება შარჟები „თაგუნასი". სერობაზე თავმჯდომარეთ მოწვეულია

### სანდრო ყანჩელი

და სერობავე დამშვენებული იქნება პაოლო იაშვილის ექსპრომტებით.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. საღ. გამგე ქართ. მსახ. კავშირის საბჭო. (1—1)

## ამიერ კავკასიის სეიმი და დემოკრატია

რევოლიუცია განსაცდელშია. ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკით გაწყდა ის ძაფი, რომელიც რუსეთის სხვადასხვა პროვინციებს ერთი მეორესთან აკავშირებდა. სრული ანარქია გამეფდა. ბოლშევიკები ეომებიან უკრაინას, ებრძვიან ყველა სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიას და ტლანქი ძალით ცდილობენ რუსეთის დემოკრატიის დამორჩილებას და თავისი ბატონობის გახანგრძლივებას. სოციალისტური ფრაზეოლოგიის ქვეშ უკიდურესი დესპოტიზმი დააკანონეს.

ანარქია ამიერ კავკასიაშიც ვრცელდება. ამას ხელს უწყობს ბოლშევიკთა ავანტიურისტული ცდა მიმავალი ჯარი გამოიყენონ ადგილობრივი დემოკრატიის დასატუქსავათ და ამიერ კავკასიის კომისარიატის დასამხობათ. ლენინის ადგილობრივი ყურმოჭრილი ყმები მზათ არიან შეუგნებელი მასა თავისი მიზნისათვის გამოიყენონ და პოგრომებით და დარბევით ჩვენი ცხოვრება ააფორიაქონ, რომ მღვრიე წყალში თევზები იჭირონ.

ასეთ პირობებში სავსებით ბუნებრივი და აუცილებელია ადგილობრივი საკანონმდებლო დაწესებულების ანუ სეიმის მოწვევა. მისი დანიშნულებაა ანარქიის ალაგმვა, რევოლიუციონური წესრიგის განმტკიცება და მთავარი რეფორმების განხორციელება. რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს, ამიტომაც ადგილობრივი დემოკრატია მოვალეა აგრარული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ახლავე გადასჭრას. ამას ზედ ერთვის ერთი მთავარი საგანი. ეს არის ეროვნებათა ტერიტორიის გამიჯვნა და ამ გზით ეროვნულ თვითმართველობისათვის ნიადაგის მომზადება. აი საუკეთესო გზა ეროვნულ შუღლისა და მტრობის გასანელებლათ და დემოკრატიის გასაძლიერებლათ. აი რა დააკისრა ცხოვრებამ ამიერ კავკასიის სეიმს გადასაწყვეტათ. მხოლოდ მას ძალუძს ეს საკითხი ეროვნებათა შეთანხმებით გადაჭრას. უარყავით სეიმი, ეს იქნება ნაციათა ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება და მით ეროვნულ საკითხში ხმლის უფლების გაბატონება.

ამიერ კავკასიის სეიმის მოწვევის წინაღმდეგ გადაჭრით გაილაშქრეს სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და დაშნაკელებმა. პირველნი დამფუძნებელი კრების მოწვევას უცდიან. მართალია ისინი სიტყვით ესარჩლებიან სეიმის შეკრებას, მარა ამ მიზნით ახალი არჩევნების მოხდენას ითხოვენ. ეს ნიშნავს რამოდენიმე თვით მაინც არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას და მით ანარქიის კიდევ უფრო გაძლიერებას. სოციალისტ-რევოლიუციონერები თავისი ჩვეულებრივი უტოპიური გზით მიდიან. ყველა ჩვენგანი ეტრფის სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას, მარა ვინ არ იცის, რომ ეს მომავლის საქმეა. სანამ ბოლშევიკები დაპარპაშებენ რუსეთში, რასაკვირველია არავითარ დამფუძნებელ კრებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მერე, ნუ თუ ადგილობრივი დემოკრატია უნდა შეურიგდეს არსებულ მდგომარეობას და ავანტიურისტთა წინაშე ფარ-ხმალი დაყაროს? ეს იქნებოდა რევოლიუციის დასამარება. დემოკრატია ვალდებულია ამას ანგარიში გაუწიოს და გამოსავალი გზა გამონახოს. ეს შეიძლება ცალკე პროვინციებში ადგილობრივ საკანონმდებლო დაწესებულებათა მოწვევით და რევოლიუციონური წეს-რიგის განმტკიცებით. ამიერ კავკასიის სეიმი რუსეთის დემოკრატიის გაერთიანების გზა და ხიდია. მაშ, რით აიხსნება ის გარემოება, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია ასე თავგამოდებით ებრძვის სეიმს და მას სახელს უტეხს?

ეს პარტია სრულიად არ იცნობს ადგილობრივ სინამდვილეს. ის მიმავალ ჯარს ეყრდნობა, ხოლო ადგილობრივ სინამდვილეში ყოველივე ნიადაგს მოკლებულია.

დაშნაკელები ვერ ურიგდებიან თავისი ეროვნული საბჭოს უფლებათა შეკვეცას. სეიმი ამიერ კავკასიის ეროვნებათა გაერთიანებას და ცალკე ეროვნულ საბჭოთა უფლებათა შეკვეცას ნიშნავს. მოიწვიეთ სეიმი და დაშნაკელები ველარ შესძლებენ ძალდატანებით თავისებური მობილიზაციის გამოცხადებას და სომხის ერის წინანდებურათ დამორჩილებას. სეიმი ინტერნაციონალური დემოკრატიის გამარჯვებაა და ამიტომაც ებრძვიან მას, როგორც სომხის, ისე ქართველთა ნაციონალისტები.

ამიერ კავკასიის დეპუტატთა კრებამ დაჰგმო სოციალისტ-რევოლიუციონერთა და დაშნაკელთა გზა და სოციალ-დემოკრატთა მიერ წამოყენებული რეზოლიუცია მიიღო. 10 თებერვალს ამიერ კავკასიის სეიმი შეიკრიბება. ეს ნაციონალისტთა დამარცხებაა და დემოკრატიის გამარჯვებას მოასწავებს.

## სეიმი და საბჭოები

ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეთ გადაიქცა. ის გაფართოებულის შემადგენლობით უნდა შეიკრიბოს ათს თებერვალს და დადებითს მუშაობას შეუდგეს. პირველ ყოვლისა ის გამოარკვევს თავის სამოქმედო პროგრამას და ამ პროგრამის მიხედვით შეადგენს ადგილობრივ მთავრობას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ერთი მთავარი პირობა, რომელიც სეიმის არსებობას უნდა დაედოს საფუძვლათ. წინაღმდეგ შემთხვევაში ის არა თუ უსარგებლო დაწესებულებათ გადაიქცევა, პირიქით, კიდევ უფრო არევს ისედაც არეულ ცხოვრებას.

რა პირობაა ეს, რითი შეიძლება ცხოვრების არევ-დარევის მოსპობა და ყველასაგან ცნობილ ავტორიტეტულ მთავრობის მოწყობა?

ეს შეიძლება ერთი ცენტრის შექმნით და მთელი ძალა-უფლების ამ ცენტრისთვის გადაცემით. ასეთ ცენტრათ უნდა გადაიქცეს ამიერ-კავკასიისთვის სეიმი და მთელი ძალა-უფლება მის ხელში უნდა გადავიდეს. ცხადია, სეიმი ამ სახით იარსებებს მანამდის, სანამ სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრება არ შესდგება და ის არ მისცემს სეიმს სახელმძღვანელო დირექტივებს. ეს მომავლის საკითხია. დღეს კი, ვიმეორებთ, მთელი ძალა-უფლება ამიერ-კავკასიის საზღვრებში სეიმის ხელში უნდა გადავიდეს.

გვკითხავენ: როგორი-ღა დარჩება კომპეტენცია, რა უფლებით და მოვალეობით იქნებიან აღჭურვილი სხვა რევოლიუციონური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, განსაკუთრებით ერთის მხრით მუშათა და გლეხთა საბჭოები, ხოლო მეორეს მხრით ეროვნული საბჭოებიო.

პასუხი ერთად-ერთია: რაკი სეიმი გახდება სრულ უფლებიანი ორგანო, ყველა სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები თავ-თავიანთ კალაპოტში უნდა ჩადგნენ, ყველას თავისი ადგილი უნდა ქონდეს მიჩნეული.

ყველაზე ადვილი გადასაჭრელია საკითხი ეროვნულ საბჭოების შესახებ.

სადავო არ არის პრინციპი ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ, ყველა ეროვნებას საშუალება უნდა მიეცეს თავის გემოზე მოაწყოს საკუთარი, შინაური საქმეები, მაგრამ ყველა ეროვნებას მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია ეროვნულ საქმეების მოწყობას შეუდგეს, როცა ამიერ-კავკასიის საერთო სეიმი ამის ფორმალურ დასტურს მისცემს, როცა სეიმი გამოარკვევს, თუ რა არის საერთო მთელი ოლქისთვის, და რა შეიძლება ჩაითვალოს თვითეულ ეროვნულ ერთეულის კუთვნილებათ. ამის შესახებ არსებითად სხვა დროს მოვილაპარაკებთ. მაგრამ მთავარი დებულება, რომ სეიმმა უნდა გამოიმუშაოს ცალკე ეროვნებათათვის მოქმედების კალაპოტი ამ თავიდანვე დაცული უნდა იქნეს.

ზემოთ ნათქვამიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება ეროვნულ საბჭოების შესახებ: ეროვნულ საბჭოებს არავითარი უფლებრივი საზოგადოებრივი ფუნქციები არ აქვთ, ეროვნულ საბჭოებს შეუძლიათ, მხოლოდ შინაურ, კულტურულ საქმეების გაძღოლა, იმ საქმეების, რომელსაც ამიერ კავკასიის საერთო ცხოვრებისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

ამიტომ თავიდანვე უნდა აილაგმოს ზოგიერთ ეროვნულ საბჭოების მიერ მობილიზაციის გატარება და სხვა ასეთი საქმეები.

ასე ადვილი გადასაჭრელი არ არის საკითხი რევოლიუციონურ ორგანიზაციების შესახებ, როგორიც არის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები და საბჭოთა ამიერ კავკასიის საოლქო ცენტრი.

სამართლიანათ აღნიშნავენ ამ ორგანიზაციების ღვაწლს რევოლიუციის განმტკიცების და გაღრმავების საქმეში. ესენი რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე დარაჯათ უდგანან სახალხო საქმეს. საბჭოების საოლქო ცენტრი დღესაც სათავეში უდგას რევოლიუციონურ მოძრაობას, როგორც არსებითად ისე ფორმალურათ. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ამ ცენტრისგან მიიღო ძალა-უფლება და დღესაც მის წინაშე აგებს პასუხს. აქედან ასეთი დასკვნა გამოყავთ ბოლშევიკებს: მთელი ძალა-უფლება საბჭოების ხელში უნდა იქნეს გადაცემულიო. ეს მოსაზრება სრულიათ მეტ ბარგათ აცხადებს სეიმს. და რაც საკვირველი და გაუგებარია, ბოლშევიკებს ამ საკითხში გვერდში ამოუდგა ადგილობრივი სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტია, მისი უმრავლესობა მაინც, რომელმაც ჩემოდანოვის პირით განაცხადა: სეიმი შექმნის მთავრობას და შემდეგ ეს მთავრობა მუშათა და გლეხთა საოლქო ცენტრს დაექვემდებარებაო. მაშასადამე, კითხვა ისმის: ან სეიმი ან საბჭოთა ცენტრი. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავს საბჭოთა მთავრობის შეუძლებლობა. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ საბჭოები არ არსებობენ ამიერ-კავკასიის დიდ ნაწილში და ამიტომ ასეთ მთავრობას გავლენა არ ექნება ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა დიდ ნაწილში.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ სეიმი არ არის რევოლიუციონური დაწესებულება: ის შესდგება სხვადასხვა პარტიების და ჯგუფების წარმომადგენლებისაგან, ის გამოხატულებაა არსებულ საზოგადოებრივ კლასების და ჯგუფების თანამშრომლობის, ამიტომ მას ყურისმგდებელი ესაჭიროება, რომ რევოლიუციონურ გზას არ გადაუხვიოს და ხალხის ფართო მასის ინტერესები ფეხ-ქვეშ არ იქნას გათელილი.

ასეთი ყურისმგდებელი უნდა იყოს მუშათა და გლეხთა საბჭოები და ამ საბჭოთა საერთო ამიერ-კავკასიის საოლქო ცენტრი. ამ ცენტრმა არა თუ არ უნდა შესწყვიტოს თავისი მოქმედება, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიეროს და გააღრმავოს ის.

ამ გვარათ ხდება საქმის განაწილება ამ ორ მთავარ ორგანიზაციათა შორის: სეიმი საერთო კითხვებს სწყვეტავს, ხოლო მუშათა და გლეხთა საოლქო ცენტრი რევოლიუციონურ ხალხს აკავშირებს და სეიმის მოქმედებას სასტიკათ ადევნებს თვალ-ყურს: რევოლიუციონურ ნაბიჯებს მხარს უჭერს, ხოლო რეაქციონურ გამოსვლებს გმობს და ბრძოლას უცხადებს.

## კვლავ შეიარაღებაზე

რევოლიუცია განსაცდელშია და მას ხალხის შეიარაღებული მფარველობა ესაჭიროება, დემოკრატიის თავისუფლების დამცველი თვით დემოკრატიაა და უკანასკნელიც მის განმტკიცებისათვის არავითარ მსხვერპლს არ უნდა მოერიდოს.

აბა, მაშ ვის თუ არ დემოკრატიას შეუძლიან რევოლიუციის დასაცველათ იარაღი აისხას და იგი საბოლოვოთ უზრუნველჰყოს? შინაური მტრები აბჯარს ისხამენ და ანარქია მთელს ამიერ-კავკასიას მოედო. ბნელი ძალები თარეშობენ და მათ გაძლიერებაზე კონტრ-რევოლიუციონერები დიდ იმედებს ამყარებენ.

შინაურ საფრთხეს შესაძლებელია მოულოდნელათ ზედ დაერთოს გარეშე მტრის საფრთხე და მით ჩვენი თავისუფლება ფეხ-ქვეშ გაითელოს, ვინაიდან ჯერ-ჯერობით საბოლოვო ზავი არ ჩამოვარდნილა. ადვილი შესაძლებელია გარეშე მტერმა ჩვენი სისუსტით ისარგებლოს და ჩვენ საკუთარ ოჯახში შემოიჭრას. ჩვენს ქვეყანაში მტრის შემოსევა კი სავსებით მოსპობს ხალხის თავისუფლებას.

აი ასეთ პირობებში ვიმყოფებით ჩვენ და ორივე მხრიდან დიდი საშიშროება მოგველის. ამ ჟამათ რევოლიუციის მიერ წამოყენებული მთავარი საკითხები, როგორიც არის მიწის, ზავის და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, ცხოვრებაში არ არის გატარებული და მას ყოველმხრივ საფრთხე მოელის. მტრები

იარაღს ისხამენ და ამ მთავარ კითხვების გადაჭრის საშუალებას არ მოგვცემენ. ძალას—ძალა უნდა დაუპირდაპიროთ. მართალია ჩვენს მიზანს მუდმივი ჯარის გაუქმება და მის მაგიერ სახალხო მილიციის დაარსება შეადგენს, მაგრამ მილიციის შედგენას დრო და მომზადება უნდა და დრო კი დაყოვნებას არ მოითხოვს. ამიტომ სახალხო მილიციისთვის ნიადაგის მომზადებასთან ერთად დაუყონებლივ უნდა იქნას ჯარში გაწვეული 19—25 წლ. ახალგაზდობა, რომლის მოვალეობას შეადგენს რევოლიუციას დარაჯათ დაუდგენ და იგი შინაურის და გარეშე საფრთხიდან იხსნან. დღეს რევოლიუციის ხანაა და მისი დაცვა-განმტკიცება იარაღის მეოხებით უნდა მოხდეს. განსაკუთრებით ამიერ კავკასიაში, საცა ბნელი ძალები ბლომათ არიან შეიარაღებული და მტერიც კარს ახლოს სდგას, მზათ იყავით ჯარში გაწვევისთვის და 19—25 წლ. ახალგაზრ. პირველ დაძახებაზევე დანიშნულ ადგილას უნდა გამოცხადდენ.

## ამიერ კავ. სოც.-დემოკრ. მუშათა ორგანიზაციებს

დამფუძნებელი კრების გარეკით რუსეთის რევოლიუცია უდიდეს საფრთხეში ჩავარდა. ხალხი დამფუძნებელი კრებისაგან ელოდა მიწისა, ომისა და ზავის და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას. ამ კითხვების კიდევ უფრო გადადება რევოლიუციის დასამარება იქნება. ამიტომაც იყო ამიერ კავკასიისგან დამფუძნებელ კრებაში არჩეულმა დეპუტატებმა გადასწყვიტეს 10 თებერვალს მოიწვიონ სეიმი საკანონმდებლო უფლებით და მას მიანდონ ყველა საჭირბოროტო კითხვების გადაჭრა და მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება.

რომ სეიმი დროზე იქნას მოწვეული, გადასწყდა სამჯერ გადიდებულ იქნას დეპუტატთა რიცხვი, თანახმათ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს მიღებული ხმებისა: სეიმის დეპუტატების დასახელება არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს ენდობა.

ამ მიზნით **3 თებერვალს, შაბათს, 12 საათზე, თფილისში** მოწვეულ იქნება საგანგებო პარტიული საოლქო ყრილობა.

განსახილველი საგნებია:

1) ამიერ კავკასიის სეიმი და მისი დანიშნულება.

2) ზავის საკითხი.

3) სეიმის დამატებითი დეპუტატთა დასახელება.

ყოველი ხუთასი წევრი ირჩევს თითო დელეგატს, ხოლო ის ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგას კომიტეტი, ერთს დელეგატს ირჩევს იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი ხუთასს არ აღწევს.

**საოლქო კომიტეტი.**

## კავკასიის ფრონტი

21 იანვრის თარიღით გამოგზავნილი მოხსენების თანახმად 16 იანვარს ლიროს და შემო-ჩერკიზ-ჩეის შუა, 35 ვერსის მოშორებით ხსნის-კილის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩვენმა ცხენოსანმა მზვერავებმა აღმოაჩინეს ქურთების ერთი როტა. ქურთებმა ჩვენს მზვერავებს სროლა აუტეხეს. სროლა გაგრძელდა სამი საათი, შემდეგ ქურთები გაიქცენ. დასტოვეს სამი მოკლული, რომლებიც ოსმალთა ჯარისკაცების ფორმაში იყვენ გამოწყობილნი.

13 იანვარს ოსმალთა ავაზაკების შეიარაღებულმა ბრბომ, რიცხვით 60 კაცმა, რომელიც გაყოფილი იყო სამ ჯგუფათ დაიკავა პლატანის ახლოს მდებარე მაღლობები (ქალაქი პლატანა მდებარეობს ზღვის პირათ, ტრაპიზონის მახლობლათ) და ქალაქ პლატანას სროლა აუტეხეს. ჩვენმა ჯარისკაცებმა თოფებისა და არტილერიისაგან სროლით ოსმალთა ბრბო გაფანტა.

## ხმები დარდანელის შესახებ

თფილისში ხმებია გავრცელებული, რომ ინგლისის ესკადრა უკვე შემოსულა შავ ზღვაში. როგორც ამბობენ, ინგლისს ოსმალეთისათვის ხელუხლებლობის გარანტია მიუცია.

## ჩრდილო კავკასიის ამბები

**გროზნიდან** იტყობინებიან: „ორი თვე გადის, რაც ქალაქი გროზნი ალყა შემორტყმულია. იწვის ნავთის შადრევანები. შველა არსაიდან არ არის. ვედენოს ციხე ჩეჩნებმა დაიკავეს. ციხის ყველა ზარბაზნებს გროზნისაკენ მომართვენ. ქალაქს ნაცარ-ტუტათ აქცევენ. დაილუპებიან ყველა მცხოვრებნი. საშიშროებას წარმოადგენენ ბენზინის აუზები, რომლებშიაც მოთავსებულია 15 მილიონამდე ფუთი ბენზინი. სთხოვენ ყველა ამხანაგ ტელეგრაფისტებს აცნობონ ეს ამბავი ყოველ ქალაქში სამხედრო, ჯარისკაცთა და ყაზახთა ორგანიზაციებს მიაშველონ ჯარები, რომ დაცულ იქნას ქალაქი აოხრებისაგან და მოქალაქენი გაწყვეტისაგან“. ეს დეპეშა გამოგზავნილია გროზნის სატელეგრაფო სექციის მიერ 22 იანვრის თარიღით სად. ჩერვლენაიადან.

## დამფუძნებელი კრება

პეტროგრადელ გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ 7 იანვრის ნომერში მოყვანილია მოკლე ანგარიში დამფუძნებელ კრების პირველი სხდომის.

როგორც ვიცით, თავმჯდომარეთ არჩეული იყო **ჩერნოვი**. მან ვრცელი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა. უპირველესათ ყოვლისა თავის სიტყვაში ის შეეხო ზავის საკითხს. მან სთქვა, რომ ზავის შესახებ რუსეთის რევოლიუციის ლოზუნგს არავინ მხარი არ დაუჭირა, რომ ის ყველა მებრძოლ ქვეყნების ლოზუნგათ გადაქცეულიყო და ამით ბოლო მოღებოდა საშინელ სისხლის ღვრას. შემდეგ ის ამბობს, რომ თუმცა ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტებმა პირველად თითქოს სანახევროთ თანახმა გახდა რუსეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ფორმულების, მაგრამ ეხლა კი გამოააშკარავა თავის ნამდვილი სულისკვეთება. მაგრამ რუსეთი ცენტრალურ სახელმწიფოების იმპირიალიზმისთვის ეხლაც საფრთხეს წარმოადგენს და თუ ამ კრებამ შესძლო და თავის გარშემო შემოიკრიბა რუსეთის ხალხი როგორც მოკავშირე თანასწორ-უფლებიანი ხალხი ფედერატიულ-დემოკრატ. რესპუბლიკის ლოზუნგით, ეჭვს გარეშეა, რუსეთი ფრიად საშიში იქნება ჩვენ მოწინაამდეგე ქვეყნების იმპერიალიზმისთვის. იმპერიალიზმი იძულებული შეიქნება ქედი მოიხაროს თავისუფალ დემოკრატიულ რუსეთის წინაშე, რომელიც წინ მიდის სოციალიზმის წითელ დროშის ქვეშ. ნება მომეცით, ამბობს ჩერნოვი, განვაცხადო, რომ დამფუძნებელი კრების შემდეგ კრებაზე ჩვენ განვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, რომ ყველა ქვეყნის სოციალისტთა დიდებული სამშვიდობო კონგრესი შეიკრიბოს რუსეთის სატახტო ქალაქში.

შემდეგ ჩერნოვი მოკლეთ შეეხო მოხალისეთა ჯარის შედგენის საკითხს. ამ დროს ბალშევიკებმა აურ-ზაური ასტეხეს, ყოველ სიტყვაზე ადგილიდან უყვიროდენ ჩერნოვს და ლაპარაკს უშლიდენ. როცა ჩერნოვმა წარმოსთქვა, რომ დაღლილი ჯარების ადგილი მოხალისე ჯარმა უნდა დაუჭიროსო, ბალშევიკებმა კრილენკოს მეთაურობით მოითხოვეს დაესახელებიათ ვინ იყო ამ დაღალვის მიზეზი და თვითონ უპასუხეს „18 ივნისი“-ო.

შემდეგ ორატორი შეეხო რუსეთის ერთა ურთიერთობის საკითხს—ბალშევიკები განუწყვეტლათ ჰყვირია თავიანთ ადგილებიდან. „კალედინი, კალედინელები და სხვა“. ორატორი აღნიშნავს, რომ დამფუძნებელმა კრებამ უნდა დაადასტუროს რუსეთის დღევანდელი შემადგენლობა, რომ ის არის ერთა კავშირი, რომელიც სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებასთან ერთად შექმნის რამდენიმე ადგილობრივ დამფუძნებელ კრებას („საბჭოებს“—ყვირიან ბალშევიკები) დამფუძნებელ კრების გახსნით—განაგრძობს ორატორი—ხორციელდება ხალხთა შორის მტკიცე კავშირი და ბოლო ეღება სამოქალაქო ომს. მარჯვნით და ცენტრში ტაშს უკრავენ, ბალშევიკები ყვირიან: „ჰკითხეთ კალედინს“.

შემდეგ ჩერნოვი ეხება უკრაინას და იმედს აცხადებს, „რომ ველიკოროს ჯარისკაცი ამიერიდან მიწის მუშა უკრაინელის წინააღმდეგ მახვილს არ აიღებს ხელში“.

რამდენათ რუსეთი ფედერატიული რესპუბლიკა არის,—განაგრძობს ორატორი,—რუსეთში მცხოვრები ყველა ერები (ხმები: გარდა ბურჟუაზიის) შეადგენენ ერთი ძმური ოჯახის თანასწორ წევრებს და ყველა ერებს უფლება აქვს იმედი ჰქონდეს დამფუძნებელ კრების, რომ ის სცნობს მის სუვერენულ უფლებებს.

ჩერნოვი გადადის მიწის საკითხზე. ჩვენ ხორცი უნდა შევასხათ, ამბობს ის, იმას, რაც დიდი ხანია სთქვა მშრომელმა მიწის მუშა ხალხმა: ყველა მიწები ხალხს სრულიად გამოუსყიდველათ!.. ამ სიტყვებზე ბალშევიკები ერთხმათ ყვირიან: „გვიანია, ეს უკვე გააკეთა საბჭოებმა“.

„ხალხის უფლების ხმა ამ საკითხში,—განაგრძობს ორატორი—იმდენათ ძლიერია, რომ მის წინ ქედი უნდა მოიხაროს ყველა პარტიებმა. ამ მხრით დიდი გასაკეთებელი საქმე გვაქვს. საზოგადო ფორმულებიდან ჩვენ მიწების მოწესრიგების შესახებ საქმეზე უნდა გადავიდეთ. ხმები „დაიგვიანეთ, ეს უკვე გავაკეთეთ“.

მიწების საკითხის გადაწყვეტა არც ისე ადვილი საქმეა, ეს არ შეიძლება კალმის ერთი მოსმით გავაკეთოთ ან პლაკატებით, სულ ერთია რაც უნდა ეწეროს ამ პლაკატებზე. ხალხი ამბობს, რომ არ შეიძლება მიწები გარდაეცეს სახაზ. საკუთრებათ, საიდანაც შემდეგ მათ უნდა აიღონ იჯარით. გლეხებს უნდათ მიწები სრულიად თავისუფალი იყოს ყოველ გვარ რაღაც ხარკისაგან და გადასახადების შესახებ საკითხი აღიძრას მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოქალაქეთა შორის გათანასწორებულ იქნას მიწებით სარგებლობა, რომლებიც კარგი და ცუდი მიწებით სარგებლობენ. და მიწის საკითხს სოფელი ისე უყურებს, როგორც მომავალ სოციალურ წესწყობილების საფუძველს.

ამ დროს ბალშევიკები საშინლათ ყვირიან: „ილაპარაკეთ მთავრობის შესახებ“.

„მე ვერ წარმომიდგენია,—განაგრძობს ჩერნოვი,—რომ დამფუძნებელ კრების მუშაობას საბოტაჟით შეხვდენ, რადგან ეს დაწესებულება ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილის გამოხატულებაა“. ბალშევიკები კვლავ ყვირიან და დამფუძნებელ კრების შესახებ პროტესტს აცხადებენ.

ჩერნოვი ათავებს თავის სიტყვას, ის ეხება რეფერენდუმს და ამბობს, რომ იმ წუთში რა წუთშიაც დამფუძნებელი კრება გვერდს აუხვევს ხალხის ნებასურვილს მან რწმუნებულებაზე უარი უნდა სთქვას და დაიშალოს და დაინიშნოს ხელახალი არჩევნები. ბალშევიკები ყვირიან: „დრო არის, ეს ეხლავე უნდა ქნათ“, თუ თქვენი აზრით ეს ეხლავე არის საჭირო,—მიმართავს ჩენოვი ბალშევიკებს,—შემოიტანეთ წინადადება პლებისციტის შესახებ ნდობას უცხადებს ხალხი დამფუძნებელ კრებას თუ არა.

სიტყვის გათავებისას ჩერნოვი წინადადებას იძლევა აირჩიონ მდივანი. კითხულობენ დიბენკის ბარათს: „წინადადებას ვიძლევი მდივნათ აირჩიოთ კერენსკი“. ბალშევიკები ხარხარებენ.

მდივნათ ირჩევენ ს.-რევოლიუციონერს ვიშნიაკს.

(შემდეგი იქნება).

## ახალი ამბები

თებერვლის სამს, დილის თორმეტ საათზე გაიხსნება ამიერ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული საოლქო ყრილობა. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1. სეიმი და მისი დანიშნულება. 2. ზავის საკითხი. 3. დამატებითი კანდიდატების დასახელება სეიმისთვის. კრების ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. დელეგატები თავს შეიყრიან საოლქო კომიტეტის ბინაზე—გოლოვინის პროსპ. № 12. ყოველი ხუთასი წევრი ირჩევს თითო დელეგატს. ხოლო ის ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგას კომიტეტი, ერთს დელეგატს ირჩევს იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვა ხუთასს არ აღწევს. რადგან თფილისში სურსათის ნაკლებობაა, ამიტომ სასურველია დელეგატებმა თან წამოიღონ.

**ამიერ კავკასიის სეიმი.** ამიერ კავკასიის დამფუძნებელ კრების დეპუტატთა კრებამ 23 იანვრის სხდომაზე დიდი კამათის შემდეგ სეიმის კონსტრუქციის შესახებ მიიღო მენშევიკების მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „ამიერ კავკასიიდან არჩეულ დამფუძნებელ კრების დეპუტატთა კრებამ, განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა, საჭიროთ აღიარა დროებით, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, მოწვეულ იქნას ამიერ კავკასიის სეიმი კანონმდებლობითი ფუნქციებით ყველა იდგილობრივ ცხოვრების საკითხებში. სეიმის მოწვევისათვის კრებას საჭიროთ მიიჩნია სამჯერ შემცირებულ იქნას საარჩევნო მეტრი, დამფუძნებელ კრების არჩევნებში ცალკე პარტიულ სიების მიერ მიღებული. სეიმის მოწვევის ვადათ ინიშნება 10 თებერვალი“.

**თავდაცვის შტაბი.** თფ. კომენდანტის სამმართველო ამიერიდან ქალაქ თფილისის თავდაცვის შტაბათ გადაკეთდა.

**მოწოდება მუსულმანებისადმი.** თფილისიდან ბაქომდე არსებულ ყველა მუსულმანთა ორგანიზაციებს, სადგურის უფროსებს და სხვებს ამ. კავკ. კომისარიატის კომისრები მ. ჯაფაროვი, ხანხოისკი, ხას-მამედოვი და მელიქ-ასლანოვი ატყობინებენ: ამ დღეებში მიმავალ ეშელონებზე თავდასხმამ, რომელიც გამოიწვია განკარგულების ბუნდოვნობამ და მისი შინაარსის დამახინჯებულათ გაგებამ, შექნა აუტანელი პირობები სახლში მიმავალ ჯარის ნაწილებისათვის. ისინი სთხოვენ მუსულმანთა ორგანიზაციებს ყოველგვარი ზომები მიიღონ, რათა არ იქნეს განმეორებული მსგავსი მოვლენები და თავიდან აცილებულ იქნეს ის სამარცხვინო შედეგები, რომელსაც ამ დღეებში ჰქონდა ადგილი. რუსეთის დემოკრატიის წინაშე პასუხისმგებლობის გარდა, უპასუხისმგებლო ბრბოების მოქმედებას შესაძლებელია მოყვეს აღმოსავლეთ ამიერ კავკასიის აკლება, მცხოვრებთა დამშევა და რკინის გზის მიმოსვლის შეჩერება. სთხოვენ მუსულმანთა ორგანიზაციებს ყოველგვარი ზომები მიიღონ რკინის გზის მოსამსახურეთა ცხოვრების და ქონების დასაცავათ, რომლებიც პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

თავდაცვის შტაბი აფიცერთა და სხვა სამხედრო პირთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 23 იანვრიდან იგი უარს ამბობს აღნიშნულ პირთა ფულით დაკმაყოფილებაზე, რომლებიც რეზერვში ირიცხებიან. დაკმაყოფილებულ იქნებიან ის აფიცრები და სამხ. ჩინოვნიკები, რომლებიც „ოტპუსკში“ მოდიან და მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო თფილისში რჩებიან. დანარჩენები დაკმაყოფილებულ იქნებიან იმ სამხედრო დაწესებულებებიდან, სადაც ისინი რეზერვში ითვლებიან.

— უკანასკნელ ხანებში იყო შემთხვევები, როდესაც მოქალაქენი განსაკუთრებით აფიცრები ერევოდენ თავდაცვის შტაბის წარმომადგენელთა მოქმედებაში და ამით ხელს უშლიდენ ისეთ საეჭვო პირთა დაჭერას, რომლებიც უსათუოდ დასაპატიმრებელი იყვენ. გარნიზონის უფროსი აცხადებს, რომ ისეთ შემთხვევაში დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიანო.

**სურსათი,** 24 იანვ. თფილისში შემოვიდა 2 ვაგონი ფქვილი, 4 ვაგონი ხორბალი და 1 ვაგ. შვრია.

**მუსულმანები ჯარში გაწვევის შესახებ.** ყარსიდან იტყობინებიან, რომ მუსულმანთა ყრილობამ დაადგინა მოახდინოს ჯარში იძულებითი გაწვევა 20 წლიანებიდან დაწყებული 30 წლამდე. ადგილობრივი ქურთები ფიქრობენ მოაწყონ საკუთარი კავალერია, ოსმალურ „გამიდიეს“ მაგავსათ.

**შრომის ბირჟა.** 9—13 იანვ. შრომის ბირჟის მუშაობა შემდეგში გამოიხატება: სულ ჩაწერილია—1288 უმუშევარი; მათში—618 მამაკაცი და 670 დედაკაცია. ახლათ ჩაწერილთა რიცხვი უდრის 474-ს: მათში მამაკაცები—281, დედაკაცები—193. აღნიშნულ თვეში პირველათ ჩაეწერენ ბირჟაში 433; ამათგან მამაკაცები—257, დედაკაცები—176, ადგილობრივათ ალაგი მიიღეს 173 სულმა; ამათში მამაკ.—134 და დედაკაცები—39; სხვაგან გაიგზავნა—14, მათში: 13 მამაკაცი და 1 დედაკაცი. აღნიშნულ რიცხვიდან არა თავის პროფესიაზე დაყენებულია 85; აქედან 63 მამაკაცი და 22 დედაკაცი.

**სრულიად რუს. ქალაქთა კავშირის კავ. კომიტ. „სოგორის“** ბევრი დაწესებულებები ლიკვიდაციას უშვრებიან თავიანთ მუშაობას, როგორც ფრონტზე, ისე ზურგშიაც. დაჭრილებზე მზრუნველ თფილისის კომიტეტმა თითქმის სულ შესწყვიტა მოქმედება. კომიტეტის 18 ლაზარეთიდან ახლო მომავალში მხოლოდ 4 დარჩება. ლაზარეთი № 40, სადაც საწოლების რიცხვი 1100-დან 250-მდე შემცირდა, გადადის ქალაქის გამგეობის ხელში. ალექსანდროპოლის ლაზარეთმა საწოლების რიცხვი 3,000-დან 1,000-მდე შეამცირა; ბათუმისამ—2,000-დან—500-მდე და მოსალოდნელია სავსებით დაიხუროს. ასევე ხდება ბაქოში და სხვა ქალაქებში. ასეთივე სურათია ფრონტზე. პერიფერიებში მუშაობის ასეთმა შემცირებამ, ცენტრშიაც გავლენა იქონია: ბევრი განყოფილებები დაიხურა და სხვებში შემადგენლობამ 20 პროცენტამდე დაიწია.

**ქართულ უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიების, მეცნიერ-ხელმძღვანელთა და ლექტორების შემადგენლობა.** 1918 წ. პირველ სემესტრში უნივერსიტეტის ლექტორათ დანიშნულია დამსახურებული პროფესორი პ. გ. მელიქიშვილი (ქიმიის დოქტორი). სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანი—პროფ. ივ. ა. ჯავახიშვილი (ქართ. ფილოლოგიის მაგისტრი პეტერბ. უნივერსიტ.); ამავე ფაკულტეტის მდივანი—პროფ. ი. ა. ყიფშიძე. სხვადასხვა მეცნიერებებში მოწვეულნი არიან პროფესორები: ბენაშვილი, კორნ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი; პროფ. მოადგილენი: სვ. ავალიანი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე; მეცნ.-ხელმძღვანელები—ე. თაყაიშვილი, ი. აბულაძე. ლექტორები: ელ. ორბელიანისა, ა. ლასტი, ი. ყიფშიძე, ვ. ღამბაშიძისა. საზოგადო დებულებების თანახმად პირველ სემესტრში განზრახულია შემდეგი დარგები: ფილოსოფიური, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, სიტყვიერების, საისტორიო და საეკონომიო. სტუდენტებს და მსმენელებს უფლება აქვთ თავის სამეცნიერო მისწრაფებისა და სურვილის მიხედვით სხვა საკუთარი გეგმა შეადგინოს და ამ გეგმის თანახმათ შეიძინოს უნივერსიტეტში სამეცნიერო გეგმა.

**პირველი სალამო.** დღეს, 25 იანვ. ქართველ მსახიობთა კავშირი ქართული კლუბის სცენასა და რარბაზებში გამართავს დიდს სალამოს მრავალ გასართობებით. მონაწილეობას მიიღებენ ქართული სცენის საუკეთესო ძალები. დადგმული იქნება ოპერეტტა და შარჟები. მელიტონ ბალანჩივაძე გამართავს კონცერტს ქ-6 შულგინას, ივ. სარაჯიშვილის და ოპერის გუნდის მონაწილეობით. მოწვეულნი არიან საუკეთესო მოცეკვავენი. საერთო ვახშამი ალ. ყანჩელის თამადობით. დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, დუდუკი და საზანდარი.

**ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში** 23 იანვ. ამხ. ვასო ქავჟარაძემ გააკეთა მოკლე მოხსენება სამურზაყანოს შესახებ. მომხსენებელი შეეხო რა სამურზაყანოს ჩამორჩენას კულტურულ მხრით, სთხოვა ეროვნულ საბჭოს საჩქაროთ ზომების მიღება მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კომიტეტმა სთხოვა მომხსენებელს წერილობითი აღნიშვნა იმ საკითხებისა, რომლებიც დაუყონებლივ უნდა იქნან დაკმაყოფილებულნი.

**გაფიცვის გამო.** გუშინდელ „ერთობაში“ იყო მოხსენებული, თითქოს სხვა მესტამბეებთან ერთად ბ. კილაძეს არ დაეკმაყოფილებიოს ბეჭდვითი საქმის პროფესიონალური კავშირის მიერ შემუშავებული ტარიფი. ეს მოხდა თითონ კილაძის აქ არ ყოფნის გამო. ჩამოსვლისთანავე ტარიფი სავსებით დააკმაყოფილა და მუშაობაც განაახლეს.

**სად. არარატიდან.** ამიერ კავკასიის კომისარიატს შემდეგს ატყობინებენ: დიდძალი ქურთები ახდენენ თავდასხმას, რბევას, როგორც დღისით ისე ღამით. ადგილობრივი მცხოვრებნი ქურთების თავდასხმის შემდეგ მთებში გარბიან. მიღებულია ყოველივე ზომები, რათა მოსამსახურენი დარჩენილიყვენ თავიანთ ალაგზე; მაგრამ, რადგანაც მეტი მოცდა არ შეიძლებოდა, მოსამსახურეთა ნაწილი უკვე წავიდა სადგურიდან, ნაწილი დღეს მიდის (23 იანვარს). აგენტი ითხოვს განკარგულებას, რათა დახურულ იქნეს სადგური და აღსდგეს მიმოსვლა სადგურებ პორაშესა და კამარლიუს შორის, სადაც უფრო ცოტა საშიშროებაა ქურთების მხრივ. საჭიროა სად. ულუხანლუში გაიგზავნოს ორი ვაგონი ნივთების და სახაზინო ინვენტარის გადასაზიდათ.

**რუს-ქართველთა ნაციონალური საბჭო.** ჯულფიდან რუსულ და ქართულ ნაციონალურ საბჭოებს ატყობინებენ: ჯულფის მცხოვრებნი რუსი დ ქართველი მოქალაქენი, უწყევნ რა ანგარიშს შექმნილ მდგომარეობას და იმას, რომ ისინი რიცხვით ცოტანი არიან, შეიკრიბენ 20 იანვარს და დაადგინეს შექმნან ერთი რუს-ქართველთა ნაციონალური საბჭო თავიანთ ნაციონალურ ინტერესების დასაცავათ და მოსალოდნელ საფრთხისაგან გადასარჩენათ.

**სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს ჩემოდანოვი წაიკითხავს მორიგ ლექციას საყოველთაო ისტორიიდან შემდეგ თემაზე: „ძველი წყობილება და რევოლიუცია საფრანგეთში“. მეორე ლექციას წაიკითხავს მაიოროვი გეოგრაფიიდან. ლექციებზე დასწრება უფასოა. დასაწყისი სალამოს 7 ს.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ მოწინავე წერილში: საცა ნათქვამია „კანტონალური ჟენევის საერთო საბჭო“ უნდა იყოს:—ფედერალური საბჭო ბერნში“.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, სალამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, 25 იანვარს, მესამე რაიონის კოლექტივის ბიუროში შესდგება კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება. ვსთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ.

— დღეს, სალამოს 7 საათზე კლუბის შენობაში (ჭავჭავ. ქ. № 9) მოხდება რ. ს.-დ. მ. პ. მეორე სამილიციო უბნის წევრთა კრება. საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

— დღეს სალამოს 5 საათზე თფ. ქალთა უმაღ. კურს. შენობაში დანიშნულია თფილისის ქართულ სტუდენტთა სალიტერატურო-სამეცნიერო წრის გამგეობის არა ჩვეულებრივი კრება. რადგან ძლიერ საყურადღებო საკითხებია გასარჩევი სთხოვენ გამგეობის ყველა წევრებს აუცილებლათ დაესწრან კრებაზე.

— ხვალ, სალამოს 6 საათზე მოხდება პროფესიონ. კავშირთა საბჭოს კრება. დღის წესრიგი: პრეზიდიუმის მოხსენება კონფერენციის შესახებ, დეკრეტი მუშების მიღებისა და დათხოვნის შესახებ, სახელოსნო გამგეობის შესახებ, მეგაზეთეების პროფ. კავშირის შესახებ, სახლის კომიტეტები, საწევრო ბარათები, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ და მიმდინარე საქმეები. წევრებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

— კვირას, 28 იანვარს, დილის 10 საათზე, ქართული გიმნაზიის დარბაზში (წყნეთის ქუჩა) დანიშნულია თფილისში არსებულ ყველა საშუალო, პირველ-დაწყებით და უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებელთა ქართველ მასწავლებელთა კრება. კრებას იწვევს ეროვნული საბჭოს განათლების სექცია. კრების საგანი: საგნობრივი კომისიების არჩევა გაეროვნებულ სკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნების შესადგენათ, და სხვა კითხვები. დასწრება სავალდებულოა.

**ამხანაგებო! დააჩქარეთ გაზეთზე ხელის მოწერა. გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობა“.**

## ამიერ-კავკასიის სეიმი

ამიერ-კავკასიის სეიმის პირველი სხდომა განახლდა კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით 23 იანვარს. გრძელდება კამათი სეიმის კონსტრუქციის შესახებ.

**ტიგრანიანი** (დაშნ.) თავის პარტიის სახელით აცხადებს, რომ დეპუტატების კრებას შეუძლია აიღოს მხოლოდ ამიერ კავკასიის დამფუძნებელ კრების მოწვევის ინიციატივა. დღევანდელი კრება კი უნდა გამოვაცხადოთ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრთა თათბირათ, რომელიც თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს როგორც საერთო, ისე ამიერ-კავკასიის ინტერესებითო. ორატორი წინააღმდეგია დეპუტატების რიცხვის გადიდების, ამით ჩვენ საშუალებას მივსცემთ მემარჯვენე პარტიებსაც გამოგზავნონ თავის წარმომადგენელიო.

**ჩემოდანოვი** (ს.-რ.) ეს კრება არ შეიძლება იყოს ამიერ-კავკასიის შტატის საკანონმდებლო დაწესებულება. ჩვენ არჩეული ვართ სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატებათ. ამ კრებამ უნდა შეადგინოს მხოლოდ ადგილობრივი მთავრობა და შემდეგ დეპუტატები უნდა წავიდენ პეტროგრადში. ამ მთავრობამ უნდა მოიწვიოს ადგილობრივი სეიმი. ორატორს მოჰყავს მთელი რიგი ფორმალური მოსაზრებებისა და დაასკვნის, რომ დეპუტატების კრებას არ შეუძლია თავის თავს უწოდოს სეიმი.

**მ. სმირნოვი** (ს.-დ.) ჩვენც ორი პრინციპით ვხელმძღვანელობთ—საერთოთი და ადგილობრივით. ჩვენ ყოველთვის პირველ რიგში საერთო ინტერესებს ვაყენებდით. საჭიროა ადგილობრივ გავმაგრდეთ, რომ შესაძლებელი გახდეს საერთო პოზიციების დაპყრობა. მართალია, ჩვენ არჩეული ვართ დამფუძნებელი კრების დეპუტატებათ, მაგრამ გვითხარით, ნუ თუ ის მუშაობა, რომელსაც ჩვენ ადგილობრივ ვაწარმოებთ არ არის მიმართული დამფუძნებელ კრების დაცვისაკენ? (ტაში). თუ თქვენ დაამტკიცებთ წინააღმდეგს, მაშინ ჩვენ ერთ წუთსაც არ დავაყოვნებთ, ყველა წავალთ პეტროგრადში. ორატორს დღევანდელს რთულ პირობებში შეუძლებლათ და მავნებლათ მიაჩნია ფორმალური მოსაზრებებით ხელმძღვანელობა. ორში ერთი—ან მუდამ უნდა ვიყოთ გახლართული ამ ფორმალიზმის ქსელში, ან უნდა საქმე ვაკეთოთ. როცა ჩვენ მოვითხოვთ დეპუტატების რიცხვის გადიდებას, ამით გვინდა კავშირი ვიქონიოთ ამიერ კავკასიის ყველა ნაწილებთან. ამიერ კავკასიის პირობებში სეიმის მოწვევის გადადება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ დღესვე უნდა შევუდგეთ საქმეს, თორემ მერე გვიან იქნება.

**სულთანოვი** მუსულმანთა ფრაქციის სახელით უერთდება ნოე ჟორდანიას პროექტს.

**ევგ. გეგეჭკორი.** ჩვენ გვაკვირვებს ჩემოდანოვის გამოსვლა. ის, რაც ნოე ჟორდანიამ აქ სთქვა, 12 ნოემბრის თათბირზე ილაპარაკა დ. დონსკომ ს.-რევოლიუციონერების სახელით. ორატორს მოყავს შესაფერი ადგილი თათბირის ოქმიდან, საიდანაც სჩანს, რომ დ. დონსკოის დეპუტატების რიცხვის გადიდება საჭიროთ უცვნია. ასეთი აზრის ყოფილა მაშინ დაშნაკელების პარტია (ოგანჯანიანის გამოსვლა). ჩვენ მაშინ ვფიქრობდით, რომ დეპუტატები წავიდოდენ პეტროგრადში და აქ დარჩებოდენ მიმატებული დეპუტატები. ახლა თუ მიდიან სეიმის წინააღმდეგ და ამხ. ნ. ჟორდანიას მოხსენებაში ხედავენ სეპარატიზმს—ეს ყოვლათ უსაფუძვლო გალაშქრებაა. ტიგრანიანის პარტიამ უკვე მოაწყო თავისაფარები. ნუ თუ სომხეთა ეროვნული საბჭო არ არის მთელი სომხის ხალხის მართვა-გამგეობის ორგანო? და საერთო მთავრობის შექმნა ნუ თუ არ ეთანხმება სახელმწიფოებრივ ინტერესებს? და თქვენ, როცა ილაშქრებთ სეიმის წინააღმდეგ, ამით ასუსტებთ ცენტრის მსრბოლ ძალებს. ამიერ კავკასიაში უნდა შეიქმნეს ცენტრალური მთავრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლიუცია საფრთხეში ჩავარდება. ამიტომ უნდა მივიღოთ ამხ. ნ. ჟორდანიას პროექტი.

**ჩემოდანოვი** (ს.-რ.) სეიმის მოწვევის ვადის გადადებით ამიერ კავკასია არაფერს დაკარგავს. მის მაგივრათ იმოქმედებს კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრი. სეიმი მაინც ვერ ისარგებლებს ცენტრზე მეტი ავტორიტეტით.

**ტერ-გაზარიანი** (ს.-დ.) ჩემოდანოვი ცდილობს ჩვენ დაგვიპირდაპიროს ცენტრი. ეს გაუგებარია ჩვენთვის. საჭიროა ადგილობრივ მოეწყოს ცხოვრება, ამას ვერ შესძლებენ ცალკე ერები. უნდა შევკავშირდეთ და შევქმნათ საერთო ორგანო. თუ დეპუტატების რიცხვი არ გავადიდეთ, 40 კაცი ვერ შესძლებს მთელი მუშაობის შესრულებას. უნდა შევამციროთ საარჩევნო მეტრი და დაუყონებლივ შეუდგეთ მუშაობას.

**აკ. ჩხენკელი.** მე პარლამენტში დაჩვეული ვარ სასტიკ გამოსვლებს, მაგრამ აქ სულ სხვა განწყობილებაა... სეიმის მოწინააღმდეგეთაგან მე პოლიტიკური სიტყვები არ მომისმენია. წარმოითქვა დაუსაბუთებელი სიტყვები ტაქტიკის შესახებ. ჩვენ ვიმყოფებით საშინელ მდგომარეობაში. მე, როგორც შინაგან საქმე-

თა სამინისტროს წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ არავითარი მთავრობა ჩვენში არ არსებობს. და აქ ვეღარ გადაუწყვეტიათ მიიღონ გმირული ზომები, რომ მოვაწესრიგოთ ცხოვრება. ამიერ კავკასიის კომისარიატს არ ძალუძს თავი გაართვას ყველა საქმეებს. ჩვენ გვეუბნებიან: ამ კრებამ მხოლოდ მთავრობა უნდა მოაწყოსო. გამოსცემს თუ არა ეს მთავრობა კანონებს? თუ არა, მაშინ არავითარი რეფორმის ცხოვრებაში გატარება არ შეიძლება. თქვენ მეტყვით ამ მთავრობასაც ისეთივე უფლებები უნდა ექნეს, როგორიც აქვს ამიერ კავკასიის კომისარიატსო. მაგრამ რატომ არ უნდა ჰქონდეს ასეთივე უფლებები თვით ამ მთავრობის წარმომშობ წყაროს—სეიმს? გამოდის, რომ ჩვენ უნდა შევადგინოთ მხოლოდ მთავრობა და შემდეგ დავიშალოთ. როცა ამას ამბობს ჩემოდანოვი, არ არის გასაკვირალი, იგი არ იცნობს ამიერ კავკასიას. ეს თუნდაც იმით მტკიცდება, რომ მან სთქვა: ამიერ კავკასიაში 3 მილიონი მცხოვრებიაო. მაგრამ, როცა ამასვე ამბობს დაშნაკელების პარტიის წარმომადგენელი, ეს ჩვენთვის პირდაპირ გაუგებარია. ამიერ კავკასიაში საფრთხე მოსალოდნელია ერთა შორის დამოკიდებულების გამწვავებით. და თუ ჩვენ არ გვეყოლა საერთო მთავრობა დავიღუპებით. თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, რომ სეიმი მოიმოქმედებს რამეს რომელიმე ერის წინააღმდეგ. მაშინ ილაპარაკეთ სეიმის პროგრამაზე. წარმოსთქვით სიტყვები საპროგრამო და არა ტაქტიკის შესახებ.

მე ჩემოდანოვსთან შეკამათება საჭიროთ არ მიმაჩნია. ამიერ კავკასიის ერები ეს ის ერებია, რომლებსაც არც ერთი არალოიალური გამოსვლა არ მოუწყვიათ რუსეთის წინაშე. (ტაში). რუსეთში არც ერთ ერს არ დაუცდია დამფუძნებელ კრებისთვის, დაუცადეს მხოლოდ ამიერ კავკასიის ერებმა. სომხებმა უნდა იცოდენ ეს. მაშასადამე, საჭიროა პროგრამა. ამ მხრით ჩვენ ერთგვარი გამოცდილება გვაქვს. თუ ანგარიშს გაუწევთ სინამდვილეს, მაშინ მემარჯვენე პარტიებზე აქ ლაპარაკი არ დაგვჭირდება. მენშევიკების პარტია არ გადაუხვევს თავის პროგრამას, იგი შეიძლება მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგეს. აქ ილაპარაკეს ეროვნულ საბჭოებზე. ისინი ზოგჯერ გამოდიან მთავრობის როლში, მაგრამ რევოლიუციონური ორგანიზაციებიც ხომ კისრულობენ ზოგჯერ მთავრობის როლს. მაშასადამე, საჭიროა ერთი მთავრობის შექმნა და სხვა ორგანიზაციებს უნდა მიეცეს ლეგალური კალაპოტი. მიზან-შეწონილობა მოითხოვს ადგილობრივ მთავრობის შექმნას და საჭირო რეფორმების განხორციელებას. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა ერები ერთად, შეთანხმებით იმუშავებენ. ურთიერთ ბრძოლით არაფერი არ გაკეთდება. და თუ ჩვენ ვერ მოვახერხეთ, საერთო მთავრობის მოწყობა, მაშინ, ვიტყვი მე, ბოლო მოეღებოდა გაერთიანებულ ამიერ კავკასიას, რომელიც შედის რუსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში. (ტაში).

**ტიგრანიანი.** (დაშ.) ისევ იმეორებს თავის მთავარ დებულებებს.

**ნოე რამიშვილი.** აქ ხდება პარტიების გარდაქმნა. ამხ. ევგ. გეგეჭკორმა მოიყვანა ამის დასამტკიცებელ საბუთების ერთი ნაწილი. ამას წინათ მოხდა შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრო ს.-რ-ების საოლქო და ცენტრალურ კომიტეტების წარმომადგენლები. ამ კრებამ დაადგინა დეპუტატების რიცხვის გადიდება. ამის წინააღმდეგ ს.-რ-ებს არაფერი უთქვამთ. ორატორს დღევანდელ პირობებში, როცა ჯერ კიდევ არ დასრულებულა დამფუძნებელ კრების არჩევნებში მიღებულ ხმების დათვლა, შეუძლებლათ მიაჩნია ამიერ-კავკასიის დამფუძნებელ კრების მოწვევა და კითხულობს, ნუ თუ სერიოზულათ შემოაქვთ დაშნაკელებს ეს წინადადებაო. ჩვენ გვინდა შევქმნათ მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულება. აქ მიგვითითეს ცენტრზე, მაგრამ ცენტრი კანონებს არ სცემდა. მაშასადამე, საჭიროა საკანონმდებლო სეიმი. 40 კაცი კი ვერ გაართმევს თავს ყველა სამუშაოს. ჩვენ სეიმს არ უპირდაპირებთ დამფუძნებელ კრებას. ჩვენ 12 ნოემბრის თათბირზედაც ვამბობდით, რომ საჭიროა ადგილობრივ გამაგრდეს რევოლიუციათქო. დღეს უფრო ცუდი პირობებია. და რევოლიუციის დასაცავათ ადგილობრივ ზომების მიღება ნუ თუ დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ ბრძოლაა? ჩვენ მოვითხოვთ ადგილობრივ მოწვეულ იქნას საკანონმდებლო სეიმი და არა დამფუძნებელი კრება. მოწინააღმდეგე პარტიებმა ან უნდა წამოაყენონ უფრო სერიოზული საბუთები, ან და ქედი მოიხარონ ამიერ კავკასიის დემოკრატიის წინაშე. (ტაში).

ლაპარაკობს ჩემოდანოვი (ს.-რ.), ტერგაზარიანი (ს.-დ.). ორატორები იძლევიან წინათ წარმოთქმულ თავის სიტყვების განმარტებებს. მეტათ დემაგოგიური და ღვარძლით სავსე სიტყვა წარმოსთქვა ნავასარდიანმა (დაშნ.), რამაც ერთობ გაამწვავა დამოკიდებულება.

**გრ. გიორგაძე.** ნუ თუ არ გაკვირვებთ ის, რომ წინა ორატორები ს.-დემოკრატიას სდებენ ბრალს დემოკრატიის გათიშვაში. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ საერთო ფრონტი. ამის წინააღმდეგ მიდიან ისინი, ვინც სეიმის წინააღმდეგ ილაშქრებს. თქვენ ამბობთ, რომ იცავთ დამფუძ. კრებას, მაგრამ რატომ მიდიხართ თქვენ საერთო მთავრობის შედგენის წინააღმდეგ? თუ გინდათ საკუთარი საქმეები თავისთვის აკეთოთ? თქვენ გინდათ გადასჭრათ ადგილობრივი საკითხები არა შეთანხმებით, არამედ, სამწუხაროთ, ძალით, მახვილით. სამწუხაროთ-თქო, ვამბობ იმიტომ, რომ მახვილის ამღები, მახვილითვე დაეცემა... (ტაში).

კამათი დასრულდა. საპასუხო სიტყვა ეძლევა ნოე ჟორდანიას.

(დასასრული იქნება).

## მუშათა წერილები

**რევოლიუცია განსაცდელშია, საჭიროა მთელი დემოკრატიის მობილიზაცია.**

„რომ ქვეყანაში გამოღვიძებულიყო წმინდა შეწუხება, რომ ხალხს ეგრძნო საფრთხე და საშიშროება რევოლიუციის ბედის და ქვეყნის, მაშინ შეინძრეოდა და გამოიღვიძებდა ხალხი ძილისაგან და რევოლიუცია იქნებოდა გადარჩენილი და მასთან ერთად გადარჩებოდა ქვეყანაცო". ეს სიტყვები, თქმული რუსეთში წერეთელის მიერ, იყო გამომხატველი იმის, რასაც რუსეთში ხალხში ხედავდა რევოლიუციის და ქვეყნის დაცვისათვის, მაგრამ არც ჩვენშია ყველაფერი რიგზე, და ეს სიტყვები მით უფრო უნდა გვახსოვდეს და ანგარიშს უნდა ვუწევდეთ ჩვენ.

ფრონტი დაცარიელდა, უპატრონოთ დარჩა, ზავი ჯერ კიდევ არ არის, ანარქია გამეფდა და დღითი-დღე იზრდება, ვითარდება, შეუჩერებლივ მზადდება საფრთხე სასტიკი ანარქიის, არევ-დარევის, ყველა ქალაქებში, სოფლებში, სოფლებში, დაბებში, ასეთ მდგომარეობის შემდეგ საშიშროებას არ გრძნობს ხალხი, იგი სდუმს.

საუკეთესო ადგილები და მასთან საშიში, მნიშვნელოვანი არის უპატრონოთ მიტოვებული. ჩვენი ზოგიერთი სალდათები კი, ნაცვლად რევოლიუციის დაცვისა, ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლისა თვით ჩაეფლენ ანარქიაში, თვით ახდენენ ანარქიას, არევ-დარევას და იმ ზომამდიც მიდიან ზოგიერთ პროვოკატორების აგიტაციის წყალობით, რომ მზათ არიან წალეკონ ის, რაც ბრძოლით არის მოპოვებული, სისხლი არის დაღვრილი.

და ასეთ მძიმე, საშიშო კრიტიკულ დროს ფართო დემოკრატიის წრეში არ გრძნობენ წმინდა საფრთხეს რევოლიუციის, თავისუფლების და ჩვენი ქვეყნის.

თუ ჩვენი ხალხის ფართე მასსას არ ესმის, ვერ გრძნობს საშიშროებას, დიდ საფრთხეს დიდი რევოლიუციისა, მაშინ უნდა ვამცნოთ ქვეყანას, რომ რევოლიუცია და ჩვენი ქვეყანა განსაცდელშია! რევოლიუცია და თავისუფლება დაცვას თხოულობს. ამისათვის უნდა გამოცხადდეს მთელი დემოკრატიის ძალების მობილიზაცია. უნდა გამოცხადდეს ყველა დემოკრატიული ორგანიზაციების ძალები ქვეყნის და რევოლიუციის საქმის მოსახმარებლათ. უნდა ვიმოქმედოთ და ვაკეთოთ ისე, რომ ზნეობით დაცემულმა, დეზორგანიზაციულმა ანარქიის ხელის შემწყობ-შეუგნებელ სალდათებმა, რომლებიც ღალატობენ თავისუფლებას, გარბიან თავიანთ ადგილებიდან, იგრძნონ უკან და წინ მაგარი მუჯლუგუნი მობილიზაციური დემოკრატიის ძალების, რომ გზა გადამცდარი სალდათები სწორ გზაზე შეაყენოს რევოლიუციის დასაცავათ. მაშინ შეჩერდება სასირცხო მოქმედება სალდათების, ქვეყნის ნაძირალების, მაშინ შეჩერდება გაქცევა და სახელმწიფოს ქონების გატაცება, გაყიდვა, განადგურება ზოგიერთ სალდათების მიერ. მაშინ გადაეცემა ჯარს ჩვენი წმინდა საფრთხე ქვეყნის და რევოლიუციის ბედისა. დეზორგანიზაციული ჯარი შეიქნება ნამდვილი რევოლიუციონურ არმიათ. უნდა გამოცხადდეს მობილიზაცია დემოკრატიის. გადარჩენა რევოლიუციის განუყრელად დაკავშირებულია ქვეყნის დაცვაში. ქვეყნის, რევოლიუციის დაცვაში დაკავშირებულია ზავის საქმეც, რომლის დროშაც რევოლიუციონურ რუსეთს ხელში უჭირავს.

თავდაცვა ქვეყნის სხვისი საქმე არ არის და არც სხვისი ხალხის და მთავრობის, როგორც ეს იყო მეფის დროს—თავდაცვის საქმე დღეს თვით ხალხისა და ყველაზე უფრო ორგანიზაციულათ შეკავშირებულ დემოკრატიის საქმეა.

1915 წელს სამხედრო დამარცხებამ გამოიწვია მთელი მობილიზაცია ცენზიანი საზოგადოებისა. წარმოიშვა სამხედრო, სამრეწველო, ერობის და ქალაქების კომიტეტები, გაძლიერდა, გაფართოვდა მოქმედება საერობო და ქალაქების კავშირებისა, მაგრამ ეს იყო მობილიზაცია შეძლებული კლასების, კაპიტალისტების, ბურჟუაზიის. მაშინ ფართო მასსა დარჩა განზე შეძლებულ კლასებისაგან. ეხლა კი ასე არ არის.

# შეიარაღდით
## ამხანაგებო და მოქალაქენო!

ჩვენმა პარტიამ და ამიერ-კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების საოლქო ცენტრმა უკვე გადასდგა გადაჭრილი ნაბიჯი რევოლიუციის დამცველ ჯარის შესადგენათ. გადასწყდა ექვსი თვის ვადით სამსახურში გაიწვიონ ჯანმრთელი ახალგაზრდები ცხრამეტი წლიდან ოცდა ხუთ წლამდე. არავის შეღავათი არ მიეცემა, გარდა ოჯახის მარჩენალთა და ზოგიერთ, ყველასათვის საჭირო სამუშაოზე მომუშავეთა.

რევოლიუცია და ქვეყანა განსაცდელშია. შიგნით ყაჩაღებმა წამოყვეს თავი და გარეშე მტრისაგანაც არა ვართ უზრუნველყოფილი.

მტერს დახვედრა უნდა. ჩვენ დავანგრიეთ ძველი წყობილება, მაგრამ ახალ ცხოვრების შენება ჯერაც არ დაგვიმთავრებია [sic: დათ ვებულა]. ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. საჭიროა მთელი ხალხის შეიარაღება, საყოველთაო მილიციის შედგენა. მაგრამ დღესვე, სახელდახელოთ ამ ძნელი საქმის განხორციელება მოუხერხებელია. ამიტომ მედგრათ უნდა დავუჭიროთ მხარი ჯარში გაწვევას და მილიციისთვის მზადებასაც შევუდგეთ.

ემზადეთ და თქვენი კანონიერ მთავრობის პირველ მოწოდებაზე გამოცხადდით თქვენი მოვალეობის ასასრულებლათ. არც ერთი კაცი, ვინც კი მოწვეული იქნება, სახლში არ უნდა დარჩეს.

ასეთია თქვენი რევოლიუციონური მოვალეობა.

მეფის მტარვალობა დამხობილია, თავისუფლების წითელი დროშა მაღლა ფრიალებს. ასეთ დროს გარეშე და შინაურ მტერს მოაქვს დამარცხება რევოლიუციონური ხალხის. ქვეყნის და რევოლიუციის დაცვის საქმე შეიქნა [illegible]

## კაპიტალიზმის [illegible] და იმპერიალისტური პოლიტიკა გერმანიაში

(გაგრძელება).

[illegible]

ან ახლად დაარსებულ სინდიკატიდან.

ეს სინდიკატები არსებითად აერთიანებენ მეტოქე წარმოებებს, ფორმალურათ კი ეს წარმოებები არსებობენ დამოუკიდებლათ, სხვადასხვა ფირმით და ხშირათ ერთმანეთ შორის აწარმოებენ [illegible]

[illegible] ჰრენ ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგებში, უფრო მეტი,—რომ კაპიტალზე დიდი მოგება შექმნან, ამ სინდიკატებს თავისი კაპიტალი შეაქვთ საზღვარ-გარეთის და ახალშენების სხვადასხვა სამრეწველო წარმოებებში. და ამ წარმოებებში ჩადებული ფული რამოდენიმე ას მილიონს წარმოადგენს. მხოლოდ 1906 წ. გერმანიამ მოათავსა საზღვარ გარეთის წარმოებებში 1300 მილიონი მარკა, და შემოსავალი ამ ფულიდან უდრიდა 600 მილიონ მანეთს! 1913 წელს კი გერმანიის ბანკის პრეზიდენტის ჰალპერიხის გამოანგარიშებით გერმანიამ საზღვარ გარეთის წარმოებებში მოათავსა 20 მილიარდი მარკა. გერმანიის კაპიტალით აშენებულია უზარმაზარი სავაჭრო და სამრეწველო წარმოებები საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლლანდიაში და სხვაგან. გერმანიის კაპიტალითვე ხდება ნევთის ექსპლუატაცია გალიციაში, რუმინიაში, ჰანნოვერში, ბაქოში, ნიდერლანდიის კოლონიებში აზიაში.

ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ გასულ საუკუნის მე-80-ცე წლებიდან გერმანიის იმპერიალისტები დაეწაფნენ აფრიკის და აზიის თავისუფალ მიწებს, რომელთა შეძენამ სულაც არ შეუწყო ხელი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. რადგან თავისუფლათ თარეში შეუძლებელი შეიქნა აზია-აფრიკაში თავისუფალ მიწების უქონლობის გამო, გერმანიის იმპერიალისტებმა მთელი თავისი ყურადღება მიაპყრეს ბალკანეთის ნახევარ კუნძულებს და სათათრეთს. სათათრეთში გერმანია შეიჭრა ჯერ კიდევ 1882 წელს, როდესაც გერმანიის მთავრობამ სამხედრო მისსია გაუგზავნა სათათრეთის სულთანს ფონ-დერ-ჰოლცის მეთაურობით; ამ დროდან გერმანიის იმპერიალისტური ბრჭყალები ნელ-ნელა ჩაეკრა მდიდარ სათათრეთის ადგილებს. 1888 წ. გერმანიის ბანკს კონცესია ეძლევა ანატოლიის რკინის გზისა, რომლის სიგრძე უდრის 576 კილომეტრს. შემდეგ ხდება გაგრძელება ამ რკინის გზის ლიანდაგის კანიამდე, რომელიც უდრის 1.020 კილომეტრს. 1898 წ. გერმანიის ფინანსისტები აგზავნიან კონსტანტინოპოლში, პალესტინაში, სირიაში გერმანიის გამოჩენილ კომივოიაჟერს იმპერატორ ვილჰელმ მე-II-ს. ეს უკანასკნელი თავისი ცოლითურთ ათვალიერებს აბდულ-ჰამიდის ჰარამ-ხანას. 1898 წ. 8 ნოემბერს კი აბდულ-ჰამიდის პატივსაცემათ დამასკში ვილჰელმი მე-II-ე ლაპარაკობს შემდეგ თეატრალურ სიტყვებს. „დიდათ აღელვებული ვარ, რომ მე მიხდება დგომა სწორეთ იმ ადგილას, სადაც ერთ დროს იმყოფებოდა ერთი უკეთილშობილესი მეფეთაგანი, რომელიც ახსოვს ისტორიას, დიდი სულთანი სალადინი, რომელსაც არა ერთხელ მიუცია გაკვეთილი თვით თავისი მტრებისთვისაც, უმაგალითო, ჭეშმარიტი კეთილშობილ დიდ-სულოვნებისა. მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს, უწინარეს ყოვლისა, ულრმესი მადლობა გადავუხადო სულთან აბდულ-ჰამიდს მისი უმაგალითო სტუმართ-მოყვარეობისთვის. დეე იცოდეს სულთანმა და სამას მილიონ მის თანამორწმუნეებმა, რომელნიც დაფანტულნი არიან მთელს დედამიწის ზურგზე, რომ ყოველ წამს გერმანიის იმპერატორი იქნება მათი მეგობარი".

ამ სიტყვების გამგონე სულთანს თავბრუ დაესხა. არ გასულა ორი თვეც ამ მომხიბლავი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ და სულთანის მთავრობამ კონცესია მისცა გაიდერ-ფაშის ნავთსადგურზე გერმანიის ბანკის ფინანსისტებს. „იმპერატორი ვილჰელმის წასვლის შემდეგ, —ამბობს შერადამი, კოლონიალური საკითხის ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანი, —გერმანიის ბანკი ხდება ისე ძლიერი, როგორც ის არას დროს არ ყოფილა. ამ დროდან გერმანიის აფიცრებს ურიგებენ საუკეთესო ადგილებს სულთანის არმიაში, ისინი თანდათან ხდებიან მეთაურნი სათათრეთის არმიის კორპუსებისა; მათივე თაოსნობით ხდება ორგანიზაცია დიდი მანევრებისა".

მაგრამ გერმანიის იმპერიალისტებისთვის საოცნებო გახდა მთელი მცირე აზია. ისინი ადგენენ პროექტს, რომლის მიხედვით უნდა გაყვანილიყო უზარმაზარი რკინის გზის ლიანდაგი, რომელიც იქნებოდა გაგრძელება ანატოლიის რკინის გზის და რომლის სიგრძე უნდა ყოფილიყო ათასი კილომეტრი.

პანგერმანისტებს კარგათ ესმოდათ, რომ ასეთი რკინის გზის გაყვანა ნიშნავდა მდიდარ სათათრეთის საუკეთესო ადგილების ხელში ჩაგდებას. გამოჩენილი პანგერმანისტი ზიგმუნდი შნეიდერი ამ ოციოდე წლის წინეთ მშვენივრათ გრძნობდა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა მცირე-აზიაში გერმანელების მიერ რკინის გზის გაყვანას და ის მგოსნის ენით გვიწერს ამ შედეგებს შემდეგ სიტყვებში: „ის უდაბნო, რომელმაც თავისი ასკეტიზმით და განდეგილობით საშუალო საუკუნოებში მიუსია ევროპას აზიის ბნელი ძალები, ხელ-ახლა აღორძინდება ორთქლის და ელექტრონის ცეცხლის გავლენით. უდაბნოს ადამიანი მომქმედ ცხოვრებისაკენ იქნება მოწოდებული, იქნება მოწოდებული იმუშაოს და არა იტანჯოს, იბატონოს ბუნების ძალებზე და არა დაემხოს მის წინაშე უნუგეშოთ. რა არის ისლამი, რა არის ქრისტიანობის მიღება, რა არის იეღოვა და მისი მოციქულნი. მსოფლიო ეკუთვნის ადამიანებს! მსოფლიო ეკუთვნოდა მათ უფრო ადრე, ვინემ ადამიანები ღმერთებს გაიჩენდენ. და ის, რაც ვერ შექმნეს ღმერთებმა, თანამედროვე ტეხნიკის სასწაულის წყალობით იქნება შექმნილი. იქნება შექმნილი უდიდესი რკინის გზით, რომელიც გაივლის ბაბილონიაზე. ეს გზა აღმოჰრეცხს აზიის წყევა-კრულვას და აღმოსავლეთს ახალ ცხოვრებისაკენ გააქანებს. ის რასაც დღეს აზიის დაღი აზის, რაც დღეს სალათას ძილით არის მოცული, ძალაუნებურათ ჩათრეულ იქნება კულტურულ ცხოვრებაში".

ი. სალაყაია.

(შემდეგი იქნება).

## ბოლშევიკების კონფერენცია გურიაში

(წერილი ლანჩხუთიდან)

გასული წლის 17 დეკემბერს ქ. ოზურგეთში დაიწყო ბოლშევიკების პირველი კონფერენცია. ამ კონფერენციის პირველი დღის ანგარიშში, რომელიც მოთავსებულია „ბრძოლის" მეორე ნომერში სხვათა შორის ვკითხულობთ: „ლანჩხუთის ორგანიზაციის სახელით მოხსენებას აკეთებს პ. ცინცაძე. ის ამბობს, რომ ჩვენ 1905 წ. ვიყავით მენშევიკებთან ერთად, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს ბოლშევიკურ ჯგუფს მენშევიკებისაგან ყოველგვარი დევნა და შევიწროება ჰქონდა მიყენებული. მაგ., ჩვენ დაგვიწვეს ციმერვალდის რეზოლიუცია, ამასთანავე მოინდომეს ჩვენი სტამბის ხელში ჩაგდება, გასამართლება ბოლშევიკურ ჯგუფისა და სხ., ჩვენ მაინც მათთან ვიყავით".

ბრძოლა მოწინააღმდეგესთან მესმის, მარა ბრძოლაც არის და ბრძოლაც! ყოველ შემთხვევაში ჩვენ მაინც არ გვიკვირს პ. ცინცაძის ასეთი ინსინუაციები და ყოვლად შეუწყნარებელი სიცრუე და „ბრძოლა"-ს მიერ მისი გასაღება, რადგან, როგორც პირველის, ისე მეორეს საქმიანობა ასეთ ინსინუაციებზეა დამყარებული. რასაკვირველია, პ. ცინცაძის მოხსენება თავიდან ბოლომდე სიცრუეა. „მენშევიკები და ბოლშევიკები" ასე კითხვა არასოდეს არ იდგა ლანჩხუთში ამ უკანასკნელ დრომდე. ყოველთვის ერთად ვიყავით და ფრაქციულ ნიადაგზე არც ერთხელ არავითარი უთანხმოება არ ყოფილა. პირიქით, მენშევიკები მათ ე. ი. ბოლშევიკურ ჯგუფს ყოველთვის ენერგიულათ იცავდენ. პ. ცინცაძეს ახსოვს უსათუოდ, როცა პარტიულ მასაში უკმაყოფილება იყო, რატომ არიან კოლექტივში ბოლშევიკებიო, ჩვენ როგორც ვუხსნიდით და ვარწმუნებდით პარტიის წევრებს, რომ ბოლშევიკები ჩვენი ამხანაგები არიან, მხოლოდ ტაქტიკურ კითხვებშია განსხვავება, მარა ეს ხელს არ გვიშლის ერთად რომ ვიმუშაოთ და სხ. პ. ცინცაძემ ძლიერ კარგათ იცის, რომ სწორედ მენშევიკების ცდით გადიოდენ არჩევნებში ის და მისი ამხანაგები, მენშევიკური კოლექტივი აყენებდა კანდიდატებს და გაყავდათ კიდეც. ამას ხომ მისი უფრო მიუდგომელი ამხანაგებიც იტყვიან. „ციმერვალდის რეზოლიუცია დაგვიწვესო", ეს მძიმე ბრალდებაა. მენშევიკები იმდენათ ველურები ყოფილან, რომ ციმერვალდის რეზოლიუციები დაუწვავთ! ეს უნდა დაამტკიცოს პ. ცინცაძემ. ჩვენ არა თუ ციმერვალდის რეზოლიუციები რეაქციონერებისა და შავრაზმელების ლიტერატურაც არ დაგვიწვავს არასოდეს. აი საქმე რაში იყო. მსოფლიო ომის პირველ ხანებში ბოლშევიკებმა გამოსცეს ფურცლები, რომლითაც მოუწოდებდენ ხალხს აჯანყება მოეხდინათ ომის წინააღმდეგ. ამ ფურცლების გავრცელება ხალხში ვერ ვიცანით მიზანშეწონილათ. მეტი არაფერი. ეს არის ციმერვალდის რეზოლიუცია? ეს არის დაწვა? ბ-ნო პ. ცინცაძევ, ნამუსიც კარგი საქონელია.

შემდეგ მომხსენებელი განაგრძობს: „ჩვენ ქალაქის საბჭოში სამი წარმომადგენელი გავიყვანეთო, ჩვენი ორგანიზაცია იზრდება, თანამგრძნობთა რიცხვი თანდათან დიდდებაო და სხ." პ. ცინცაძე ვერ უწევს კარგ სამსახურს თავის ამხანაგებს, როდესაც სიმართლეს უმალავს.

არც ერთი წარმომადგენელი ბოლშევიკებს ქალაქის საბჭოში არ გაუყვანიათ. მე როგორც წინ ვამბობდი ყოველთვის თანხმობით ვმუშაობდით ბოლშევიკებთან. სადმე თუ გადიოდენ არჩევნებში, ჩვენი რეკომენდაციით. ბოლშევიკებს არ ქონდათ თავისი საკუთარი ორგანიზაცია, არასოდეს დამოუკიდებლად არ გამოსულან, ჩვენთან შემოდიოდენ ორგანიზაციაში და ერთად ვმუშაობდით. ჩვენმა ორგანიზაციამ შეიმუშავა ხმოსანთა კანდიდატების სია, რომელნიც აღნუსხული იყვენ პირველ ნომერში და რაკი ამომრჩევლების თანაგრძნობა იყო პირველ

[illegible]

...ჩამორჩებიან თფილელ მათ ამხანაგებს დემაგოგიაში და ცილის წამებაში, მარა ეს ჩვენებურ ბალშევიკებისაგან არ არის გასაკვირი. რასაც დაწერენ „ბრძოლაში“ დაიზეპირებენ და იმეორებენ კაჭკაჭივით.

Ralink.

## სოხუმის ამბები

**ბრძოლა ავაზაკების წინააღმდეგ.**

რუსეთში გამეფებულმა ანარქიამ ჩვენშიაც შემოდგა ფეხი. აგერ მეორე-მესამე თვეა ძარცვა-გლეჯამ და შანტაჟისტობამ პირდაპირ საშიში ხასიათი მიიღო. თუ ცოტა ხნის წინათ საშიში იყო ღამით ქუჩაში გავლა, ამ ბოლო დროს ავაზაკებმა იმდენათ თავი აიშვეს, რომ დღისითაც აშკარათ შედიოდენ მაღაზიებში, თუ კერძო ბინებზე და „ანარქისტების პარტიის“ სახელით ათასობით მოითხოვდენ ფულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ორი-სამი დღის სიცოცხლის (უფრო გულ-კეთილები ერთი კვირასაც) ვადას იძლეოდენ.

ასეთი მუქარა მათ ხშირათ სისრულეშიაც მოყავდათ. ქუჩებში თოფების სროლას, დუქნების ტეხას, სახლებში და ქუჩაში თავდასხმას ხომ საზღვარი აღარ ქონდა. გასტეხეს და საქონლები წაიღეს სხვათა შორის კოოპერატიული მაღაზიიდან და ქალაქის სახარაზო დუქნიდან, რომლებიც ამ უსაზღვრო სპეკულიაციის დროს ერთათ-ერთი იმედი იყო საზოგადოების.

ავაზაკების სიმხეცე ამითაც არ გათავდა: ახალი წლის პირველ დღეებში, ღამით, თავის ბინაზე ვერაგულათ მოკლეს სოხუმში კარგათ ცნობილი პარტიული ამხანაგი, მოხუცი კლასიონ მელაძე, ამხ. კლასიონის მოკვლით თავისი სასიკვდილო განაჩენიც გამოიტანეს ავაზაკებმა.

კლასიონ მელაძის გასვენების დღე დასაწყისი იყო ანარქიასთან და ქურდბაცაცებთან სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლის გამოცხადების. გასვენებას მრავალი ხალხი დაესწრო, სადაც გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ-ბმა: ზახაროვმა, ლიფონავამ, ესვანჯიამ, წულუკიძემ და ქურიძემ. ყველანი აღთქმას სდებდენ, რომ ამხ. კლასიონის მოკვლას არ ვაპატიებთ ავაზაკებსო. იმავე დღეებში მოწვეულ იქმნა საბჭოებთა შეერთებული კრება, სადაც გამოიმუშავეს ავაზაკებთან საბრძოლველი ზომები. მახლობელ სოფლებიდან გამოიწვიეს შეიარაღებული წითელ გვარდიელები და ადგილობრივ ყველა საიმედო ძალებით შეკრეს ღამის თორმეტ საათზე ბაზარი და ყველა გასავალი ქუჩები. ავაზაკებისთვის მოულოდნელი იყო ასეთი სერიოზული ზომებით მათ წინააღმდეგ გალაშქრება. ზოგი მათგანი უკვე ტკბილ ძილს მისცემოდა, ზოგი ჩვეულებრივათ „საშოვარზე“ იყო გამოსული, ზოგი კიდევ განცხრომით დროს ატარებდა „სტუმარ-მოყვარე მასპინძლებთან“. ასეთები იყვნენ საზოგადოების ნაძირალები, უმთავრესათ ყოფილი პოლიციის მოხელეები, რომლებიც ახალი სამოსელით მეღვინე-მიკიტნის, თუ სხვა „საქმის“ კაცის სახელით თავიანთ ბნელ საქმეს აკეთებდენ. წითელ-გვარდიელებმა, რომლებიც დაყოფილი იყო ცალკე რაზმებათ და თავიანთი ხელმძღვანელები ყავდათ მიჩენილი, ერთ და იმავე დროს იერიში მიიტანეს ყველა საეჭვო ადგილებზე. ზოგიერთ ალაგიდან ავაზაკებმა წინააღმდეგობის გაწევაც სცადეს, მაგრამ ვერას გახდენ. სასტუმრო „ვენიზელოსში“ კარები ჩაიკეტეს და სროლა აუტეხეს წითელ-გვარდიელებს, რაც ავაზაკებს ძვირათ დაუჯდათ: იქვე მოკლეს ყაჩაღი ვინმე ემუხვარი და დასჭრეს ერთი უმთავრესი მათი ორგანიზატორი, ცნობილი ყაჩაღი კილაშერია. დაიჭირეს აგრეთვე ყველა მკვლელები ამხ. კლასიონ მელაძის და სხვა ცნობილი ავაზაკები. სულ იმ ღამეს დაიჭირეს 50 კაცამდე. ყველა ამით წელში გამართული მცხოვრებლები მეორე-მესამე დღეს აშკარათ უთითებდენ ყველა დამნაშავე ქურდ-ბაცაცებზე, თუ მათ ხელის გამწყობებზე. ვინც კი საკმაო საბუთებს წარმოადგენდა, ყველა ნაჩვენებ შენიშნულ პირებს იჭერდენ. სულ 3 დღის განმავლობაში დაიჭირეს 200-დე კაცი, უკვე შესდგა რევოლიუციონური სასამართლო და სოხუმლებიც დამშვიდებული მოელიან დამნაშავეების ღირსეულათ დასჯას. 10 იანვარს გამოცხადებული საალყო წესები მესამე დღეს უკვე მოხსნეს და ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ასეთსავე ზომებს ღებულობენ ყველა მახლობელ სოფლებში. ავაზაკებთან ბრძოლა ჩვენმა ამხანაგებმა მორიგ კითხვათ დაისახეს. ყველგან ხელმძღვანელობას უწევენ ხალხს, რომ ავაზაკებთან ბრძოლამ სტიქიური ხასიათი არ მიიღოს და უდანაშაულოთ არავინ დაისაჯოს.

ი. ც—ძე.

## გურიის ამ-ბარში

წარსული ისტორიული წელი გურულებმა ისტორიული დიდებით გაისტუმრეს—თავისუფლების გამოცხადების დღიდან გურიაში მთელი ცხრა თვის განმავლობაში არ მომხდარა, გარდა ერთი სამარცხვინო საქმისა. ეს სამარცხვინო საქმე მოხდა წლის მიწურულში: დეკემბერში ს. ბახვში გაძარცვეს ეკლესია და გაიტაცეს ძვირფასი თვლები და ოქრო-ვერცხლი. თავხედურმა ქურდობამ ყველა ააღელვა და დამნაშავეს ენერგიულათ ეძებენ.

სამწუხაროდ, ახალი წელი მარცხით დაიწყო. სწორეთ ახალ წელიწადს ს. მაკვანეთში მოჰკლეს ხარაზი ინგოროყვა. მკვლელი ანთელიძე თვით მისმა ძმამ გამოსტეხა და ხალხის მსჯავრს წარუდგინა. ნათლიღებას სოფ. დვაბზუს მთვრალმა ორმა ჯარისკაცმა, ძმებმა დათუნაიშვილებმა, მოჰკლეს ჯარისკაცი სირაძე და სასიკვდილოდ სცემეს ორ მოხუც სახლიკაცს. ამის გამო შეიპყრეს ალექ. დათუნაიშვილი და პრ. გოგიტიძე. ძმ. დათუნაიშვილები გაექცენ ხალხის რისხვას და ჯარში გაიპარენ.

წარსულ წელს გურიაში ღვინო სულ არ მოსულა, მაგრამ იმერეთიდან ბევრი ყურძენი მოიტანეს და ღვინოც ბევრი მოზიდეს. ამის გამო კარგ დღეებზე გადაჭარბებული სიმთვრალე იყო მთელ გურიაში. შეზარხოშებული ჯარისკაცები ვინტოვკის ტყვიას არ ზოგავდენ—დღეღამ გაისმოდა შეუწყვეტელი სროლა,—თუ მეტი არა, გურიაში დაიწვა ორი მილიონი პატრონა. ერთი სიტყვით, ახალ წელს გურიაში თან მოჰყვა რეაქცია-ანარქიის სუნი, ვერ დავფარავთ, ამას ყველაზე მეტად ხელი შეუწყვეს დაბრუნებულმა ზოგიერთმა ჯარისკაცებმა. ბალშევიკი ჯარისკაცი გურიაში ძლიერ იშვიათია, მაგრამ მათი მოქმედება-მოთხოვნილება (ზოგჯერ ულტიმატუმი) ბალშევიკურზე ბალშევიკურია. მათი ცდა არის გურიის დემოკრატიის ხელში ჩაგდება და მათი დიქტატურის გამოცხადება. რასაკვირველია, ამ ცდას გურიაში გასავალი არ ექნება. გურია კრილოვ ტალმაჩოვის დროსაც ახერხებდა თავის მოვლას, დემოკრატია აქ ძლიერია და ის მოქალაქეს ერთი მეორედან არ ანსხვავებს და, ცხადია, ის ჯარისკაცს მარტო შინელისათვის უპირატესობას არ მისცემს. მამა თავის შვილს—ჯარისკაცს,—თავზე არ წამოისკუპებს.

ანარქიის სუნმა და ფრონტის სიახლოვემ (ბათუმის საფრთხემ) გურიის დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი ხელმძღვანელები დააფაცურა და დაარწმუნა იმაში, რომ ხალხს ამ ჟამად ესაჭიროება ფიზიკური სიძლიერის ჩვენებაც. აი ამ მიზნით დაარსდა რევოლიუციონური კომიტეტი და შესდგა რევოლიუციონური ტრიბუნალი (სახალხო სამსჯავრო). ამიერიდან ვინც რაიმეს დააშავებს, გაუსამართლებელი და დაუსჯელი არ დარჩება. ამისი მაგალითი კიდეც მოხდა 19 იანვარს. ამ დღეს ტრიბუნალმა პირველად დაიწყო მოქმედება და აუარება ხალხის თანდასწრებით გაასამართლა მილიციონერი სერ. კალანდაძე, რომელმაც თავის დარაჯობის დროს არსენალიდან მოიპარა ორი ვინტოვკა. ტრიბუნალმა მიიღო სახეში კალანდაძის მცირე წლოვანება, გამოიჩინა ლმობიერება და მიუსაჯა ერთი წლით დატუსაღება და 5 წლით მოქალაქეობრივი უფლების აყრა. ამ დღესვე უნდა გარჩეულიყო ცნობილი შავრაზმელ-პროვოკატორის სევ. ქარცივაძის საქმე, მაგრამ რაკი ქარცივაძის დამცველებმა მოწმეები დაასახელეს, მათ შეკითხვამდე საქმე გადადვეს და ქარცივაძე ისევ ციხეში გაგზავნეს. ტრიბუნალით ხალხი დიდი აღფრთოვანებულია და მაზე დიდ იმედს ამყარებს.

17 იანვარს ოზურგეთში ამოვიდა ბათუმიდან ამხ. არსენ წითლიძე და მიხ. ჯიბლაძე, რომელთაც დავალება ჰქონდათ გურიიდან წაეყვანათ მოხალისენი ბათუმის დასაცავად. ამხანაგების მგრძნობიარე სიტყვებს ლიხაურელები აღტაცებით შეხვდენ და მარტო ლიხაურიდან ჩაეწერა 60 მებრძოლი. ამხანაგები ეხლა სხვა სოფლებში გაეშურენ. საზოგადოთ გურულები მოხარულნი არიან დაიკონ სახლკარიც და რევოლიუციაც, მაგრამ კარზე მომდგარი „მეფე შიმშილი“ ყველას წელს სტეხს და ყველა იმას გაიძახის: ოღონდ გასაყიდი მჭადი მოგვაშველეთ და რევოლიუციას გვამსახურეთო. დაბეჯითებით ამბობენ, რომ სამეგრელოში ბევრია სიმინდი, მაგრამ მტკიცე ფასებში არ იძლევიან და ითხოვენ 7 მანეთის ნაცვლად 10 მანეთს. გურიაში კი სიმინდი, თუ ვინმე ბედნიერმა იშოვა, 20—25 მან. აძლევს. ამის შესახებ თფილისში იგზავნება ამხ. მიხ. ბაქუნაიშვილი და ევალება ყოველივე ღონე იღონოს და მტკიცე ფასები სიმინდის 10 მანეთამდე გახადონ. თუ ეს არ მოგვარდა, საშინელების წინაშე ვდგევართ და მომავალ საფრთხეს ვერ ავცდებით. სრული იმედია, მეზობელი მეგრელებიც შევლენ გურულების მდგომარეობაში. ამ პატივის ცემას გურულები არასოდეს არ დაივიწყებენ. 10 მანეთი სიმინდის ფასი გურულებს სამართლიანად მიაჩნია და მადლობელიც იქნებიან.

ოსმან-ეფენდი.

## სოც.-დემ. პარტიაში

**გურიანთა.** 28 დეკემბერს გაიმართა გურიანთის რაიონის რ. ს.-დ. მ. პარტიის კოლექტივის წევრთა კრება. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: ჯარისკაცთა კავშირი, ეროვნულ პოლკებში განთავისუფლებულ ჯარისკაცების და დეზერტირების ჩაწერა, მაგარ სასმელების გაყიდვა, თფილისში გასაგზავნ წითელ გვარდიელების სიის შედგენა და პარტიის წევრთა რაოდენობა რაიონში. კრებამ მსჯელობა იქონია იმ კავშირის შესახებ, რომელიც განზრახულია შესდგეს. ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებისაგან, არსებულ ორგანიზაციების გარეშე და დაადგინა ყოველ „იაჩეიკაში“ მოხდეს წინასწარი მოლაპარაკება ამის შესახებ და შემდეგ კი მასსიურ კრებაზე ახსნილ იქნას ჯარისკაცების წინაშე ყოველივე დღევანდელი გასაჭირი, რათა მათ იმოქმედონ ხალხთან ერთად და არა ცალკე. განთავისუფლებულ ჯარისკაცების და დეზერტირების შესახებ კრებამ დაადგინა მოხდეს მასიური კრება და გამოეცხადოს ჯარისკაცებს ჩაეწერონ ეროვნულ პოლკებში. მაგარ სასმელების შესახებ კრებამ გადასწყვიტა ყოველივე ზომა იქნეს მიღებული, რომ სასმელები არ იქნეს გაზიდული ქალაქებში და საზოგადოთ იქ, სადაც ჯარი დგას, თან დაადგინა გამოცხადებულ იქნას მასსიურ კრებაზე, რომ დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიან. თფილისის რაზმში ჩაეწერენ: კოწია დობორჯგინიძე, რაფიელ ჩხიკვიშვილი, ივანე გირკელიძე და ალექსანდრე ღლონტი. განხილულ იქნა სია პარტიის წევრებისა, აღმოჩნდა შემდეგი: ჭანითურბაილეთის იაჩეიკაში არის—40 წევრი; ახალსოფლისაში—139 წევრი; ციხისფერდში—60 წევრი; კახურისაში—78 წევრი; მონასტრისაში—60 წევრი.

სიმონ ჯორბენაძე.

## მუშათა შორის

**თფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს კრება.** 19 იანვარს კრება ჰქონდა თფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს.

განიხილეს შემდეგი საკითხები: საექიმო დაწესებულებათა წარმომადგენლების რიგს გარეშე განცხადება, სახლის კომიტეტები, მეგაზეთეთა კავშირი.

საექიმო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ ქალაქების კავშირსა და ლაზარეთების მოსამსახურეებს შორის უთანხმოება მოხდა. კავშირს, რადგან ფულები არ ჰქონდა, სამი თვის განმავლობაში ჯამაგირები არ მიუცია მოსამსახურეთათვის, მაგრამ უკანასკნელნი ამდენხანს ხმას არ იღებდენ რადგან საერთო სადგომში ბინა ჰქონდათ და სასმელ-საჭმელი. ეხლა კი, ლაზარეთების დახურვის გამო მოსამსახურეებს გამოუცხადეს, რომ მათ ანგარიშს მისცემენ, მხოლოდ ფულით კი არა, ჩეკებით. მოსამსახურეებმა ქალაქთა კავშირს მოსთხოვეს სამი თვის ჯამაგირი ფულათ მოგვეცი და სალიკვიდაციო ჩეკებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ქუჩაში წითელი დროშებით გამოვალთო.

საბჭომ დაადგინა, რადგან ასეთ არეულ დროს ქუჩაში სადემონსტრაციოთ გამოსვლას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს, სთხოვოს ქალაქთა კავშირის გამგეობას ისესხოს ფული მაგ. სამხედრო სამრეწველო კომიტეტიდან და მისცეს მოსამსახურეებს სამ სამი თვის ჯამაგირი ფულათ. ამისთვის აირჩიეს კომისია, რომელშიაც შედიან პუგაჩოვი, ავატკოვი და ტოპაძე.

სახლის კომიტეტების შესახებ მსჯელობა კრებამ სხვა დროსათვის გადასდო, რადგან სპეციალისტი მომხსენებელი არ იყო.

მეგაზეთეთა კავშირის შესახებ კრებამ მოისმინა ამ კავშირის და მისი მოქმედების გამოსარკვევათ არჩეულ კომისიის მოხსენება. ამ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მეგაზეთეების კავშირის წესდება თუმცა სხვა პროფ. კავშირების წესდებასავით არის შედგენილი, მაგრამ სრულიად არ შეეფერება მეგაზეთეების კავშირს, მეგაზეთეები წმინდა პროლეტარები არ არიან, არამედ წვრილი მოვაჭრეები და ხელოსნები. თავის მხრით კომისიას გაუუქმებია საბჭოს დადგენილება მთელი დღე და საღამოს გაზეთების გაყიდვის შესახებ, რადგან ამით სოციალისტურ გაზეთების ტირაჟმა ძალიან აიწია, იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიულ გაზეთის ტირაჟი დაეცა მაგ. „კავკაზსკოე სლოვო“ 18.000—12000-მდე ჩამოვიდა.

მეგაზეთეთა კავშირის გამგეობის წევრთა ჩვენებით საღამოს მუშაობის გაუქმებით ბრმა-მეგაზეთეები არაფერს ჰკარგავენ, რადგან მათ კავშირი აძლევს 5 მანეთს დღეში, უკეთუ იგინი ამდენს ვერ გაჰყიდიან.

ეს განცხადება უარჰყო ბრმების წარმომადგენელმა ბელოუსოვმა. კითხვის საბოლოოთ გადაწყვეტა შემდეგ კრებისთვის გადაიდო.

—

**ფავი ქვის სამეფოდან.** 13 იანვარს შესდგა პროფეს. კავშირის გამგეობის კრება. პირველად მოკლე მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ ამხანაგმა პ. კობიძემ. აღნიშნა გამგეობის მუშაობა და ამასთანავე ზოგიერთ წევრ ამხანაგების გულგრილობა პროფესიონალურ კავშირისადმი, რაც გამოიხატება შემდეგში, რომ მოსამსახურეები, წევრები კავშირისა თავიანთ საწევრო გადასახადს თავის დროზე არ იხდიან და დღესაც ბევრ ამხანაგებს აქვს შემოუტანელი, რაც სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს. ჯერი მიდგა ჯამაგირების მომატების შესახებ საკითხზე. გაიმართა კამათი. ყველამ თითქმის ის აზრი გამოსთქვა, რომ დღევანდელ საზღაპრო სიძვირის დროს მუშათა მდგომარეობა აუტანელია, ამიტომ საჭიროა ხაზეინმრეწველებს წარუდგინონ მოთხოვნები. ეს მოთხოვნები პირველ თებერვლიდან ძალაში უნდა შევიდეს. ჯერი მიდგა პროცენტების მომატებაზე, კრების უმრავლესობისამ მიიღო პლეხანოვის სისტემა, კრებამ აირჩია ხუთი კაციდან შემდგარი კომისია ყველა დარგის მოსამსახურებიდან, რომელიც გამგეობასთან ერთათ გამოიმუშავებს მოთხოვნებს. ეს მოთხოვნათა პროექტი წარედგინება ადგილობრივ მუშათა საბჭოს დასამტკიცებლათ.

აქვსენტი.

## პროვინცია

**ს. წიაღოვანი** (ქართლი). ყოველმხრით ჩამორჩენილმა ჩვენმა სოფელმა თითქოს ამ ბოლო დროს გამოიღვიძა. ხალხმა თითქოს ხელი მიჰყო კულტურულ მუშაობას, დაარსეს პირველ დაწყებითი ერთ კლასიანი სასწავლებელი, გახსნეს სამკითხველო და მომხმარებელი დუქანი, მაგრამ თითქოს მათთვის მეტი არაფერი იყო საჭირო, ფარ-ხმალი დაჰყარეს და მათივე დაწყებული საქმე შუაგზაზე მიატოვეს. სასწავლებელი უპატრონოთ არის მიგდებული, მას არავინ ყურადღებას არ აქცევს, არავინ არ ფიქრობს თუ საჭიროა მისი მოვლა პატრონობა. მომხმარებელ დუქანს რამდენიმე პირი განაგებს და ისე იქცევიან თითქოს მათი საკუთრება იყოს. თუმცა აქ კი გამოიჩინა ხალხმა ინიციატივა, ეს ვაჟბატონები გადააყენეს და მათ მაგიერ საიმედო პირნი აირჩიეს. ორი წელიწადია, რაც სამკითხველო დაარსდა, მაგრამ ის მხოლოდ დაარსდა, სხვა არაფერი, არავინ იმაზე არ ფიქრობს თუ რისთვის და ვისთვის არის საჭირო ეს სამკითხველო, არც წიგნებია იქ და არც ჟურნალ გაზეთები და შიგაც არავინ დაიარება. იმაზე ხომ სულ არავინ ფიქრობს, რომ მისი არსებობისთვის საჭიროა საშუალება და ეს საშუალება საზოგადოებამ უნდა გაიღოს, რადგან სამკითხველო საზოგადოებას—ხალხს ეკუთვნის და მას აწვდის სულიერ საზრდოს. რომ ეს ხალხმა შეიგნოს ამისთვის საჭიროა ინტელიგენტური ძალები, რომლებიც ნაკლებ ეტანებიან წიაღოვანს.

ასე ღვთის ანაბარათ მიგდებულია ს. წიაღოვანი. საჭიროა მას ვინმე გულშემატკივარი პატრონი გამოუჩნდეს, დაწყებული კულტურული საქმეები წინ წასწიოს და დაბნელებულ ცხოვრებაში სინათლის სხივი შეაშუქოს.

ნ. მერისპირელი.

—

**ს. ბახვი** (გურია). 6 იანვარს აქ შემდეგი საზიზღარი ამბავი მოხდა: საღამოს ღვინით გალეშილნი ალექსანდრე დათუნაიშვილი, პრაპორშჩიკი რუბენ გოგიტიძე და სხვ. მიდიოდენ სახლისკენ. მათ გზაში შეხვდათ ჯარისკაცი კალენიკე სირაძე მეუღლით და სიმამრით, ამ ვაჟბატონებმა ჯერ დასჭრეს და შემდეგ ტყვიებიც დაახალეს ჯარისკაცს სირაძეს, რომელიც მეორე დღესვე გარდაიცვალა, აგრეთვე სცემეს სირაძის მეუღლეს და სიმამრს, ხალხმა იმავე წამს მოიყარა თავი, სადაც ეს მკვლელობა მოხდა, მაგრამ იმ ღამეს ეს ვაჟბატონები მიიმალენ, შემდეგ პრაპორშჩიკი გოგიტიძე თავის ნებით გამოცხადდა მაზრის კომისართან. ის დაატუსაღეს, დათუნაიშვილები კი ჯერ ვერ შეიპყრეს, ბ-ნ ალექსანდრე დათუნაიშვილს ასეთი მხეცობა არა ერთხელ ჩაუდენია ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ როგორც იმ დროს ყოველთვის გადიოდა ფონს, და ეხლაც ფიქრობს, რომ უზრალოთ კაცის კვლა მუქთათ ჩაივლის, მაგრამ ტყუილი იმედი აქვს. ახსოვდეს, რომ მას დღეს ხალხი ასამართლებს და ამ სამართალს ის ვერსად დაემალება.

შავი.

—

**ს. ჯოლევი** (სამეგრელო). ამ სოფელში 1917 წელს დაარსდა ბიბლიოთეკა ეგ. ნინოშვილის სახელობაზე. ბიბლიოთეკა მოთავსებულ იქნა მომხმარებელ საზოგადოება „მომავლის“ შენობაში. ჯერ-ჯერობით ბიბლიოთეკას მოსდის გაზეთები: „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო და სხ.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ბიბლიოთეკიდან გაზეთები სადღაც გარბიან; ამის მიზეზი ის არის, რომ მოვა თუ არა ბიბლიოთეკაში გაზეთები, რამოდენიმე პირნი იტაცებს და მიაქვთ, თითქოს მათი საკუთრება იყოს. მაგრამ ამაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ მტაცებელთა შორის ხშირად ხდება ჩხუბი—„არა მე მერგება და არა მეო“.

ამ სამწუხარო მოვლენას სრულებით ყურადღებას არ აქცევს ხსენებული ბიბლიოთეკის გამგეობა. ამიტომ სასურველია ეხლავე იქნას მიღებული ზომები ხსენებული ბიბლიოთეკის საქმის მოსაწესრიგებლად, აგრეთვე გადაყენებულ იქნას გამგეობა და მათ მაგიერ ამორჩეულ იქნას საქმის მოყვარე და ენერგიული მუშაკნი.

აქაური.

—

**ჯურუყვეთი** (გურია). 14 იანვარს მოხდა ამ საზოგადოების მრავალ-რიცხოვანი კრება. კრების თავმჯდომარე გიორგი აფხაზავამ პირველად ყოვლისა ილაპარაკა მიმდინარე მომენტზე და ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: სასტიკათ ვგმობთ ბალშევიკების ავანტიურისტულ პოლიტიკას, რამაც დამფუძნებელ კრების გარეკით შეუძლებელჰყო რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის გაერთიანება, ჩვენ მოვითხოვთ დაუყონებლივ შესდგეს საოლქო სეიმი.

შემდეგ კრება შეეხო ძარცვა-გლეჯის საკითხს სოფლად, კომისიის ძიებიდან ირკვევა, რომ ის პირები, რომლებიც დააპატიმრეს წინა კვირაში ქურდობაზე, მართლები აღმოჩნდენ და ნამდვილი დამნაშავენიც აღმოაჩინეს, რომლებმაც გატაცებული ფულები უკვე ჩაგვაბარესო. კრებამ დაადგინა, რომ მომავალ კრებაზე იქნან მოყვანილი ეს ქურდები. სასჯელსაც მაშინ გადაუწყვეტენ.

უ. მაკაშვილი.

—

**ჭიათურა.** ომის გამო ჭიათურის შავი ქვის წარმოება შეფერხდა, გზების შეკვრის გამო, ერთათ ერთი ბაზარი ჭიათურის შავი ქვის, იყო რუსეთის ბაზარი, სადაც ომის საჭიროებისათვის გაქონდათ ცოტ-ცოტა, რადგან მუშაობა შემცირდა მრავალი მუშა გავიდა აქედან, დარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი. ეს დარჩენილი მუშები ჩაუდგენ სათავეში ჭიათურის რევოლიუციონურ მოძრაობას; ჭიათურაში არსებობდა ერთათ ერთი ფრაქცია ჭიათურის რ. ს. დ. მ. პარტია, შეერთებული მენშევიკებ ბალშევიკების. (აქვე უნდა აღვნიშნო ბალშევიკები ჩვენს ორგანიზაციაში შედიოდენ, რადგანაც ცოტა იყვენ), ჭიათურის მუშები მენშევიკების ტაქტიკას იზიარებენ. რევოლიუციონურ მოძრაობას აქ მუდამ სათავეში ედგენ მენშევიკები; რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე აქ დაარსდა რევოლიუციონური დაწესებულებები. მ. საბჭო, პროფეს. კავშირები.

17 იანვარს მუშათა დეპუტატების საბჭოს ინიციატორობით მოხდა ჭიათურის ახლად შედგენილი წითელ გვარდიელთა კრება. პირველად მოკლე და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ანთელიძემ, რომელმაც აღნიშნა გვარდიის საჭიროება დღევანდელ კრიტიკულ მომენტში, მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკა ამხ. ზ. გურულმა, მან თავის მოკლე შინაარსიან სიტყვაში აღნიშნა, რომ ჭიათურის წითელი გვარდია უნდა შესდგებოდეს რევოლიუციონერებიდან, რომლებიც მუდამ მზათ უნდა იყვნენ სიცოცხლე გასწირონ თავისუფლების დასაცავათ. ბოლოს მოხდა გვარდიის, საბჭოს წევრების არჩევნები. აირჩიეს 15 კაცი. საბჭოში შედიან ფედერალისტები, ს.-რევოლიუციონერები და მენშევიკები. გვარდიაში ჩაწერილია ჯერჯერობით 150 კაცი. ამით გათავდა ახალ გვარდიის პირველი კრება.

ახალგაზრდა მენშევიკი.

## ანგარიში

სამტრედიის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი დღიდან დაარსებისა 1918 წლის 1 იანვრამდე.

**შემოსავალი.**

| | | |
|---|---|---|
| შემოწირულება სხვადასხვა მიზნით მუშებისაგან | 3047 მ. | 89 კ. |
| ყულაბებით შეგროვილი დ წარმოდგენებისაგან | 1143 „ | 42 კ. |
| შემოწირულება კერძო პირებისაგან | 132 „ | |
| სულ | 4323 მ. | 31 კ. |

**გასავალი.**

| | | |
|---|---|---|
| საკანცელიარო ხარჯების დასაფარავათ | 141 მ. | 76 კ. |
| სახარჯო დ სამგზავრო დელეგატებს ყრილობაზე დ კრებებზე | 637 „ | |
| ნივთიერი დახმარება სხვადასხვა ორგანიზაციებს | 2114 „ | 69 კ. |
| ინვენტარის | 57 „ | 50 კ. |
| გაზეთების, ბროშიურების და განცხადებების | 43 „ | 90 კ. |
| დეპეშების გასაგზავნი | 63 „ | 73 კ. |
| წვრილი ხარჯები | 38 „ | 55 კ. |
| ჯამაგირი მდივანს და დარაჯს | 550 „ | |
| სულ | 3647 მ. | 13 კ. |
| 1 იანვარს კასაში დარჩა | 676 მ. | 18 კ. |

საბჭოს მდივანი **ს. ნინუა.**


**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
**ზ. დონხინი**
ყოფილ ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
**თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,**
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

**ექიმი პ. ი. გვარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.



**ჩვენი ხალხის საყურადღებოთ**
**ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ**
მიიღება ეროვნულ საბჭოს სამდივნოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.


## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან სავალდებულო დადგენილება

1) 1 თებერვლიდან პური მიეცემა მხოლოდ სახლის კომიტეტებს; გამონაკლისს შეადგენენ უცხო ქალაქებიდან ახალ ჩამოსულები, რომელთაც პური მიეცემათ ერთხელი (разовый) ბარათებით.

2) იანვრის განმავლობაში ბინის კომიტეტებს პური მიეცემათ რიგის გარეშე.

3) პურის სავაჭროები ვალდებულნი არიან ნაწილ-ნაწილათ აწონილი პური მისცენ ბინის კომიტეტებს მათგან წარდგენილ ბარათების თანახმათ.

4) პურის დუქნები და ფურნეები ვალდებული არიან პურის გაყიდვა დილის 6 საათიდან დაიწყონ. ბინის კომიტეტებისათვის პური უნდა შემოინახონ მოთხოვნილების თანახმათ.

5) ბინის კომიტეტები ვალდებულნი არიან იქონიონ თვითოეულ ბინაში მცხოვრებ პირთა სია ბინის დამქირავებელთაგან ხელმოწერილი, ეს უკანასკნელნი კი პასუხს აგებენ სიაში შეტანილ სიყალბეში და აგრეთვე თუ თავის დროზე არ გააგებინებენ ბინის კომიტეტს ამა თუ იმ პირის ბინიდან გადასვლა.

**შენიშვნა:** ამ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვეველნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი დროებითი მთავრობის რედაქციით 1917 წ. 17 მარტს გამოცემულ დებულების მე-29 მუხლის ძალით, რომლის თანახმათ დამნაშავენი ისჯებიან მომრიგებელ-მოსამართლეთა მიერ.

(3—1) თფილისის ქალაქის გამგეობა.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა როხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.